# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 აპრილი, 2012 წელი.

№64 (6941)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## 3. ნეიტრალიტეტი: რეალური და ვირტუალური

დისკუსია



6-7

## ყვითელი ავტობუსების შემდეგ ყვითელი მიკროავტობუსები თბილისელების პრობლემა გახდა!

3



## ახალი ხერხით გათვლილი სიდუხჭირე



4

## რუსეთელმა თავი „დამნაშავედ“ ცნო აფხაზეთში ჩასვლასთან დაკავშირებით

8





3

## ხელისუფლებამ ჯანდარის ტბაც „გააორცხობილა“

## ყველაზე ძვირი სამეცნიერო პროექტები



11

№64. ოთხშაბათი 4 აპრილი, 2012 წელი.

**სულიერება**

# აუცილებელია მეტი საჯაროობა

## საპატრიარქო ინტერრელიგიურ სამუშაო ჯგუფს თურქეთ-საქართველოს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განსაჯაროების თაობაზე განცხადებით მიმართავს

**საქართველოს საპატრიარქო ინტერრელიგიურ სამუშაო ჯგუფს თურქეთსა და საქართველოს შორის კულტურული მემკვიდრეობების დაცვის საკითხთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულების განსაჯაროების თაობაზე განცხადებით მიმართავს.**

განცხადების პროექტი ინტერრელიგიურ ჯგუფს საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელმა თეა გოგოტიშვილმა გააცნო.

„გვსურს, ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ თურქეთსა და საქართველოს შორის დაგეგმილ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც თურქეთში ოშკისა და იშხანის ტაძრების, საქართველოში კი ახმედის მეჩეთის აღდგენასა და აზიზის მეჩეთის ხელახლა აშენებას ითვალისწინებს. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი ხელისუფლების საქმიანობა დაფუძნებული უნდა იყოს კანონმდებლობისა და საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების განუხრელ დაცვაზე. ეს კი, თავისთავად, საჯაროობასა და ჩართულობას მოიცავს, რაც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია. გამომდინარე აქედან, ვთვლით, რომ როდესაც ადგილი აქვს დიდ საზოგადოებრივ ინტერესს, ეს უკანასკნელი მაქსიმალურად უნდა იყოს ინფორმირებული ყველა იმ ლონისძიებაზე, რომელიც ხელშეკრულების გაფორმებას მოჰყვება. გვინდა, ხაზი გავუსვათ მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავშირებულ ერთ თავისებურებას. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება თურქეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ორი მნიშვნელოვანი ძეგლის ოშკისა და იშხანის აღდგენის საკითხს ითვალისწინებს, მოლაპარაკებების პროცესში აღნიშნული ძეგლების ისტორიული მესაკუთრის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ჩართულობის საკითხი გარანტირებული უნდა იყოს. რელიგია, ენა ადამიანის ყველაზე ღრმა და სულიერ სფეროს განეკუთვნება და აქ ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილე, მოთმინება და საზოგადოებრივი ინტერესების გაცნობიერება გვმართებს. მხოლოდ პრობლემებისადმი ამგვარი მიდგომა მოგვცემს საშუალებას, საზოგადოებრივი დაძაბულობა და სხვა არასასურველი ექსცესები თავიდან ავიცილოთ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით მივმართავთ: 1. საჯარო გახადოს ხელშეკრულების სამუშაო ვერსია და საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მის შესახებ. 2. უზრუნველყოს მოლაპარაკებების პროცესში საქართველოს საპატრიარქოს ჩართულობა. 3. უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 63-ე დადგენილებით შექმნილი კომისიის გამართული და საჯარო მუშაობა“, – ნათქვამია განცხადებაში.



იმის გამო, რომ შეხვედრას მუსლიმთა თემის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ, განცხადების მიღება გადაიდო იმ დრომდე, ვიდრე ტექსტი მუსლიმური თემის წარმომადგენლებს არ გადაეგზავნებათ და აღნიშნულთან დაკავშირებით მათი პოზიცია არ გახდება ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ ინტერრელიგიური ჯგუფის წევრები საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია, საქართველოს ებრაელთა თემი, სომეხთა წმინდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესია, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, საქართველოში იეზიდთა თემი, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია და ხსნის არმია არიან.

# საქართველოს საპატრიარქო ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე სომხური ეკლესიის რესტავრაციის წინადადებით გამოდის

**საქართველოს საპატრიარქო თბილისის ძველ უბანში ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე სომხური ეკლესიის რესტავრაციის წინადადებით გამოდის.**

**აღნიშნული ინიციატივა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელმა თეა გოგოტიშვილმა გუშინ ინტერრელიგიური სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე წარმოადგინა.**

„ამ ეკლესიის გუმბათი 2009 წლის ზამთარში ჩამოიქცა. ამის შემდეგ იქ მცირედი საკონსერვაციო სამუშაოები განხორციელდა. კერძოდ, მისი ერთი ნაწილი ლითონის ბაგირებით გამაგრდა და ეკლესიის შიგნითა ნაწილში არსებული საფლავები კუსტარულად გადაიფარა. ეს სამუშაოები სრულიად არასაკმარისია და ძეგლის შემდგომ გადარჩენას ვერ უზრუნველყოფს. ეკლესიის ეზო შემოუღობავია, ტერიტორიაზე გაბნეულია სამშენებლო მასალების ნარჩენები და მძიმე ანტისანიტარული მდგომარეობაა. მისი ორი მხარე და კედლები ძალზედ მძიმე მდგომარეობაშია, დაზიანებულია დარჩენილი ნაწილის სახურავი. იქმნება საშიშროება, რომ ტაძრის დარჩენილი ნაწილი და სახურავზე მდებარე მცირე სამრეკლო ჩამოინგრეს და ძეგლი საბოლოოდ განადგურდეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის მერიასა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მივმართავთ, ძეგლის კონსერვაციისთვის გადაუდებელი ზომები დაუყოვნებლივ მიიღოს“, – ნათქვამია საპატრიარქოს მიერ წარმოდგენილი განცხადების პროექტში.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრას სომხური ეკლესიის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. შესაბამისად, განცხადების მიღება გადაიდო იმ დრომდე, ვიდრე ისინი ტექსტს გაეცნობიან.

**ნინო ჩიჩუა,**
**პირველი**

**საგადასახადო პოლიტიკა**

# სახლში ფეხი არ შეადგმევინოთო...

## ბინების გამქირავებლებსა და მთავრობას შორის ოპოზიცია ჩადგა

**ოპოზიცია ბინების გამქირავებლებს აფრთხილებს: „სახლში ფეხი არ შეადგმევინოთ ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებს“! ეს მოწოდება მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც მთავრობამ გადასახადების ამოღების მხრივ მაქსიმალურ სიმკაცრის გამოჩენა დაიწყო.**

**ამჟერად პოლიტიკოსები უძრავი ქონების გამქირავებლებისთვის 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის დაწესებას აპროტესტებენ. როგორც ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, ხელისუფლება ბინის გამქირავებლებს ხარკს აკისრებს, დაყაჩაღების ახალი მექანიზმით ამოღებული თანხის გამოყენებას კი არჩევნების გაყალბებისთვის გეგმავს.**

შატბერაშვილის განცხადებით, 20%-იანი გადასახადის დაწესება ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს და მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის როგორც ბინის მეპატრონეებს, ასევე დამქირავებლებს. ლეიბორისტები საზოგადოებას ახალი გადასახადის გაპროტესტებისკენ მოუწოდებენ.

ამასთან, ბინათმფლობელებს აფრთხილებენ „სახლში ფეხი არ შეადგმევინონ ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებს, რომლებსაც დაქირავებული ბინების აღრიცხვა აქვთ დავალებული“.

საქართველოში ბინების გამქირავებლების 80% არ არის რეგისტრირებული. როგორც უძრავი ქონების სააგენტო „სითი კომპანის“ დამფუძნებელი თამაზ ქობალია აცხადებს, შესაბამისად, დღესდღეობით ბინების გამქირავებლების 4/5 საშემოსავლო გადასახადს არც იხდის.

ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, თუ იურიდიული პირი ფიზიკური პირისგან ფართს იქირავებს, მაშინ იურიდიული პირი ვალდებულია, თავად დააკავოს საშემოსავლო გადასახადი. ძველი კოდექსის თანახმად კი იურიდიული პირი კერძოს სრულად უნაზღაურებდა თანხას, საშემოსავლო გადასახადს კი ფიზიკური პირი იხდიდა.

ფიზიკურ პირებს შორის უძრავი ქონების ქირავნობის შემთხვევაში, გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის მოლაპარაკებით გადაწყდება, ვინ გადაიხდის 20%-იან საშემოსავლო გადასახადს. შემოსავლების სამსახურს კი მკაცრი ადმინისტრირების წარმოება მოუწევს, რათა გამოავლინოს კერძო პირებს შორის ქირაობის ფაქტები.

ქობალიას განცხადებით, მას შემდეგ, რაც საშემოსავლო სამსახური მსგავსი დარღვევების გამოვლენას დაიწყებს, თბილისში ბინის ქირის ფასი გაიზრდება. მისივე თქმით, საშემოსავლო სამსახურის თანამშრომლებისთვის გამქირავებლის გამოვლენა (მაგალითად, საგადასახადო აგენტის დახმარებითძ პრობლემას არ წარმოადგენს, დაჯარიმების პრეცედენტის შექმნის შემდეგ კი ყველა გამქირავებელი დაიწყებს ზრუნვას დარეგისტრირებაზე.

ბინის გამქირავებლებისთვის 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის დაკისრების ვალდებულება ახალი ამბავი არ არის. შარშან ამ დროს შემოსავლების სამსახურმა გადასახადის ეს ფორმა საბოლოოდ დაადგინა.

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ საგადასახადო უწყებისთვის მსგავსი ინფორმაციის მოძიება პრობლემა არ არის. თუმცა, იქვე აღიარებენ, რომ სამსახურს მკაცრი ადმინისტრირების წარმოება მოუწევს, რათა გამოავლინოს კერძო პირებს შორის ქირაობის ფაქტები.

„ინფორმაციის მოპოვებისთვის სხვადასხვა პროცედურა არსებობს. კერძო პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება ოდნავ რთულია, თუმცა თუ ასეთი ფაქტი ცნობილი გახდება, შესაბამისად მათ საშემოსავლო გადასახადის გადახდა მოუწევთ“, – აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

თუკი შემოსავლების სამსახური სამართალდარღვევის ფაქტს გამოავლენს, მაშინ პირს სრულად მოუწევს დამალული გადასახადის ანაზღაურება, რასაც შესაბამისი საურავებიც დაემატება. ეს კი საბოლოო ჯამში სერიოზული თანხა იქნება.

**გიორგი ბექაური**

**ინფორმაცია**

## მაია ფანჯიკიძე: ბიძინა ივანიშვილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

**ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის ინფორმაციით ბიძინა ივანიშვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.**

**„როდესაც ადამიანი ასეთ ინფორმაციას ავრცელებს, ვინმეს მაინც უნდა უთხრას, საიდან იცის. ხოლო, თუ რაიმე სერიოზული მასალა აქვს, უნდა მიაწოდოს მას, ვისაც ამაზე ყურადმღებლობა შეუძლია და არ უნდა გამოაქვეყნოს „ფეისბუქზე„. ვიმედოვნებ, ამის უკან სერიოზული არაფერი დგას“, – თქვა მაია ფანჯიკიძემ.**

## მიხეილ სააკაშვილი: გვსურს, საპარლამენტო არჩევნებზე გრძელვადიანი უცხოელი დამკვირვებლები ჩამოვიდნენ

**საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციებს და პარტნიორ ქვეყნებს სთხოვა, საპარლამენტო არჩევნებზე გრძელვადიანი დამკვირვებლები გამოგზავნონ, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან ერთად, ნატოს შტაბბინაში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ გენერალურმა მდივანმა, ისევე როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მასთან შეხვედრაზე, საქართველო მოდელ ქვეყნად დაასახელეს. სააკაშვილის თქმით, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის ხაზგასმა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

**„როგორც იცით, წინ არჩევნები გველოდება და მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას – ევროკავშირს, ევროპარლამენტს, ეუთოს, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს – მათ შორის ალიანსის წევრებს მოვუწოდეთ, გამოგზავნონ არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი დამკვირვებლები. მათ უნდა გამოიკვლიონ მთელ ამ პერიოდში ხალხის აზრი, დააკვირდნენ ქართულ მედიაგაშუქებას, პარტიების დაფინანსების მექანიზმს საქართველოში, რათა დავრწმუნდეთ, რომ არა მხოლოდ არჩევნების არამედ მთელი პროცესი გამჭვირვალე, გათვლადი, ასევე გარე ძალებისგან თუ ნებისმიერ მხრიდან ზეწოლისგან თავისუფალია. ამ თვალსაზრისით წელს თქვენი დახმარება მართლაც გვჭირდება“, – განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.**

**მან ასევე აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან დაგეგმილ შეხვედრაზე საბჭოს წევრებს მიაწვდის ინფორმაციას პროგრესის შესახებ, რომელსაც საქართველომ საბჭოსთან ბოლო შეხვედრის შემდეგ მიაღწია. პრეზიდენტის თქმით, იგი მზადაა, ნებისმიერი საკითხი განიხილოს.**

## ანდერს ფოგ რასმუსენი: საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება

**საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება, – ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**ამასთან, გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ**




**საქართველო მოკავშირეებთან თანამშრომლობის, ურთიერთკავშირის მოდელი გახდა და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.**

**მისივე თქმით, ნატო და საქართველო შეთანხმდნენ თანამშრომლობის გაძლიერებაზე და ეს ხელს შეუწყობს ერთობლივი მუშაობის, საქართველოს ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერებას ატლანტიკური მიზნების მისაღწევად. ამასთან, გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საქართველომ უკვე დიდ პროგრესს მიაღწია.**

**მისივე თქმით, საქართველო პარტნიორობის მოდელია. რასმუსენის თქმით, ელოდება ჩიკაგოში, ალიანსის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტის ნახვას, სადაც მოკავშირეები და პარტნიორები ნათლად იტყვიან, თუ რამდენად აფასებენ საქართველოს ჩართულობას ნატოს მისიაში და მიღწეულ პროგრესს.**

ინტერპრესნიუსი

დედაქალაქის აუტანელი პირობები

**თბილისში ყვითელი მიკროავტობუსების შემოყვანის პროცესი გრძელდება და პრობლემებიც ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ იჩენს თავს. კერძოდ, სამარშრუტო ტაქსების მძღოლები იმ აუტანელ პირობებს უჩივიან, რაც მათ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა" შეუქმნა.** შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიის მიერ შარშან გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა ოთხმა კომპანიამ – „თბილლაინი", „ფაბლიკი", „კაპიტალ გრუპი" და „თბილ ქარი", – ყველა ერთად კი მიხეილ სააკაშვილის ხაზინადარებს შარანგიებს ეკუთვნით, ანუ იგივე მიხეილ სააკაშვილს და გიგი უგულავას.

სწორედ ამ ოთხი კომპანიის მენეჯმენტს ახორციელებს კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი".

აღსანიშნავია, რომ ტენდერის პირობების თანახმად, აღნიშნულ კომპანიებს თბილისში სამარშრუტო ხაზებზე 15 იანვრამდე 3068 ახალი მიკროავტობუსი უნდა შემოეყვანათ, მაგრამ ეს პირობა არ შეუსრულებიათ, რისთვისაც მერიამ ისინი დააჯარიმა და თითოეულს პრაქტიკულად სიმბოლური თანხის, ასი ლარის გადახდა მოუწია. კომპანიებს თბილისში მიკროავტობუსების შემოყვანის ვადა 15 მარტამდე გაუგრძელდათ, მაგრამ როგორც ვხედავთ ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა.

ცნობისთვის, ვადის გასვლის შემდეგ, თუ საკონკურსო პირობებით ნაკისრი ვალდებულება კვლავ შეუსრულებელი დარჩება, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღოს. „თბილისის მიკროავტობუსში" კი ჯიუტად აცხადებენ, რომ მიკროავტობუსების შემოყვანის პროცესი გაზაფხულზე დასრულდება, თუმცა ზუსტად არ იციან – როდის.

ახლა კი რაც შეეხება იმ პრობლემებს, რაც ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლებსა და მგზავრებს აწუხებთ. **მძღოლების პრობლემა პირველ რიგში არის „თბილისის მიკროავტობუსის" მიერ მათთვის დაწესებული მაღალი გადასახადი. თითოეულ მიკროავტობუსზე დღიური გეგმა მარშრუტის მიხედვით, 48-დან 100 ლარამდე მერყეობს. ამასთანავე, თითოეული მძღოლი ვალდებულია ამ დღიური გეგმის გარდა მიღებული შემოსავლიდან ყოველდღიურად გადადოს 20 ლარი, რასაც ისინი „მანქანის ცვეთას" უწოდებენ, ანუ, ეს ის თანხაა, რაც საჭიროების შემთხვევაში მიკროავტობუსს უნდა მოხმარდეს. ამ ხარჯებს რა თქმა უნდა, ემატება საწვავის ფულიც და საბოლოო ჯამში, მძღოლების განცხადებით, დღეში მინიმუმ 160 ლარის დანახარჯი აქვთ. ამიტომაც მძღოლები ამბობენ, რომ ყოველდღიურად ოჯახში 10-15 ლარზე მეტი ვეღარ მიაქვთ, რაც მათ ადრინდელ შემოსავალზე ბევრად ნაკლებია.**

**ამასთანავე, მიკროავტობუსების მძღოლები ამბობენ, რომ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი" აიძულებს მათ, რომ მანქანასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში, მხოლოდ „თეგეტა მოტორსის" მომსახურებით ისარგებლონ, რაც ბევრად ძვირია სხვა ალტერნატიულ საშუალებებთან შედარებით.**

მაგალითად, როდესაც ძრავში ზეთის შეცვლა ან მუხრუჭის ხუნდების შეცვლა სჭირდებათ (რაც თვეში ერთხელ მაინც არის საჭირო), მძღოლები ამბობენ, რომ ამის უფლებაც კი არ აქვთ, რომ ეს სერვისი ელიავას ბაზრობაზე მიიღონ.

**ყვითელი მიკროავტობუსის მძღოლებს მაღალი გადასახადების პრობლემასთან ერთად, პრობლემები აქვთ ძველი მიკროავტობუსების მძღოლებსაც. მათი თქმით, მას შემდეგ, რაც გარკვეულ ხაზებზე ყვითელი მიკროავტობუსები შემოიყვანეს და ძველი მიკროავტობუსების მძღოლებიც აიძულეს მგზავრობის გადასახადი გაეზარდათ, მათ მგზავრთა რაოდენობა საგრძნობლად შეუმცირდათ.** თუმცა, მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, ბევრი მათგანი მაინც არ აპირებს ახალ მიკროავტობუსზე მუშაობის დაწყებას.

**„იმდენად დიდი გადასახადები აქვთ ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლებს, რომ პირადად მე ჩვენს ხაზზე ამ ახალი მანქანების შემოყვანის შემდეგ, ალბათ, აღარ გავაგრძელებ მუშაობას. მართალია, მგზავრობის საფასურის გაზრდის შემდეგ ჩემი შემოსავალი ძალიან შემცირდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმის საშუალება მაინც მაქვს, მანქანა რომ გამიფუჭდება, სადაც მინდა იქ მივიყვან და**

## ყვითელი ავტობუსების შემდეგ ყვითელი მიკრო-ავტობუსიც თბილისელების პრობლემა გახდა!

**ბევრად იაფად შევაკეთებ, ვიდრე ამ ყვითელ მანქანებს სჭირდება. მე ის მაინც შემიძლია ელიავას ბაზრობაზე შევაკეთო ჩემი მანქანა, ხოლო ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლებს კი ამის უფლება არ აქვთ",** – აცხადებს ერთ-ერთი მძღოლი.

აღსანიშნავია, რომ მძღოლების განცხადებით, **ყვითელი მიკროავტობუსები ძალიან უხარისხოა და ის პირობა, რომელიც მათ დაუდეს, რომ მანქანა შვიდი წლის შემდეგ მათ პირად საკუთრებაში გადავა, პრაქტიკულად შეუსრულებელია. ყველა მძღოლმა, ვისაც კი ამ თემაზე presage.tv ესაუბრა, ზუსტად ერთი და იგივე ფრაზა გვითხრა – „შვიდი წლის შემდეგ ამ მანქანიდან მხოლოდ საჭე დარჩება".**

ამასთანავე, მძღოლების თქმით, მანქანა რომც დარჩეთ, შვიდი წლის შემდეგ მას ვერაფერში გამოიყენებენ, რადგან მათ სამარშრუტო ხაზზე ამ მანქანით მუშაობის უფლება არ ექნებათ.

**„პირობა ასეთია, შვიდი წლის შემდეგ მანქანა შენი იქნება, მაგრამ უნდა წაიყვანო სახლში და გყავდეს იქ, ხაზზე მისი გაშვების უფლება არ გვექნება. გვეუბნებიან, რომ მუდმივად ახალი მანქანები უნდა შემოვიყვანოთ და ძველებს ხაზებზე არ ვამუშავებთო."** – განგვიცხადეს მძღოლებმა.

ყველაფერ ამას ემატება ის პრობლემაც, რომელიც უკვე თბილისის მცხოვრებლებს აქვთ, ანუ მგზავრებს. საუბარია იმაზე, რომ ყოველ სამარშრუტო ხაზზე ყვითელი მიკროავტობუსების შემოყვანის დროს, ამ კონკრეტულ ხაზზე მანქანების რაოდენობა მცირდება, ან ხდება ორი სამარშრუტო ხაზის გაერთიანება, რაც შესაბამისად, მაინც იწვევს მანქანების შემცირებას. მაგალითად, სამარშრუტო ხაზი №63 (მეტროსადგური მარჯანიშვილი – ნუცუბიძის პლატო) გაერთიანდა №50-თან, რომელიც ავლაბრის მოედნიდან მეტროსადგურ „დელისამდე" მიდიოდა, ანუ პრაქტიკულად მოხდა №50 სამარშრუტო ხაზის დაგრძელება და ახლა ეს მარშრუტი ავლაბრის მოედნიდან ნუცუბიძის პლატოზე მიდის. თუმცა მოხდა ამ ხაზზე როგორც №50-ის, ასევე №63 მიკროავტობუსების რაოდენობის შემცირება. **შესაბამისად, თითოეულ მძღოლს 3-4 დღეში ერთხელ უწევს მუშაობა და გაზრდილი გადასახადების ფონზე შემცირებული შემოსავლის მიღება, ნაცვლად იმისა, რომ როგორც ადრე, ყოველ დღე ემუშავათ.**

აღსანიშნავია, რომ **მიკროავტობუსების მძღოლები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ მოსალოდნელია მარშრუტკების მგზავრობის საფასურის ერთ ლარამდე გაზრდა.**

**„ამბობენ, რომ ერთი ლარი უნდა გახდეს მგზავრობა, მაგრამ მე მგონი არჩევნებამდე ამას არ გააკეთებენ. შემდეგ კი თუ ნაციონალებმა ამ არჩევნებში გაიმარჯვეს, მაშინ აუცილებლად დაგვახრჩობენ ყველანაირად, როგორც კი შეეძლებათ",** – აცხადებს **presage.tv**-სთან საუბარში ყვითელი მიკროავტობუსის ერთ-ერთი მძღოლი.

აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით **presage.tv** დაუკავშირდა კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის" დირექტორს დავით ნიკოლაშვილს, რომელმაც ჩვენს კითხვებს არ უპასუხა და კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს თეონა ნიორაძესთან გადაგვამისამართა. თეონა ნიორაძესთან დაკავშირება საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მას მობილური ტელეფონი მუდმივად გამორთული ჰქონდა, კომპანიაში დარეკვის დროს კი მასთან უბრალოდ არ დაგვაკავშირეს.

როგორც ჩანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ხელფასს იმისთვის უხდიან, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობას თავი აარიდოს.

მოგვიანებით, **„თბილისის მიკროავტობუსში" გვითხრეს, რომ მათთვის გადაგვეგზავნა ის კითხვები, რაზე პასუხის მიღებაც გვსურდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოგვიგზავნეს პასუხები.**

კითხვები კი ასეთი იყო – **პირველი კითხვა ეხებოდა იმას, თუ რატომ აიძულებენ ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლებს, რომ მანქანების შეკეთება მხოლოდ „თეგეტა მოტორსში" მოახდინონ?**

„თბილისის მიკროავტობუსში" აცხადებენ, რომ **მათ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული „ჯი თი მოტორსთან". საგარანტიო მომსახურებაზე ორწლიანი ხელშეკრულების მიხედვით კი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მანქანების შეკეთება მოხდება ტექნიკურად გამართულ ცენტრში. ამასთანავე, „თბილისის მიკროავტობუსის" ინფორმაციით, საგარანტიო მომსახურება გულისხმობს წუნის შემთხვევაში მიკროავტობუსის ძირითადი აგრეგატის (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, ხიდები, სავალი ნაწილი და სხა) უფასოდ შეკეთებას.**

შემდეგ კითხვაზე, რომელიც ეხებოდა თითოეულ ხაზზე მიკროავტობუსების რაოდენობის შემცირებას, **„თბილისის მიკროავტობუსი" პასუხობს, რომ ყველა ხაზზე იქნება მიკროავტობუსების ის რაოდენობა, რაც დადგენილია სანებართვო პირობების შესაბამისად. ასევე „თბილისის მიკროავტობუსში" აცხადებენ, რომ „ფორდის" მარკის მიკროავტობუსების უხარისხობასთან დაკავშირებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.**

რუსიკო უშიკიშვილი

ესეც ასე!

# ოც წელიწადს, ოც წელიწადს ვერ გნახო!




**თევზაობისა და ნადირობის მოყვარულები კარგად იცნობენ ჯანდარის ტბას და მის მიმდებარე ტერიტორიას. თუ საზოგადოების ამ ნაწილისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ეს ტბა გართობის საშუალებაა, ადგილობრივებისთვის ის იმისი გარანტი იყო, რომ სხვა ვერაფერს თუ არა, თევზს მაინც შეიტანდნენ სახლში.**

**„წინათ ჯანდარის ტბაზე გავდიოდით და ბადით ვთევზაობდით. ახლა გვითხრეს, ტბა ვიღაცამ შეიძინა და თევზი გასამრავლებლად ჩაყარაო. ადგილობრივი პოლიცია ამის გამო ბადით თევზაობას გვიშლის. ამისთვის დაჭერილიც ჰყავდათ ხალხი. ეს არის სამართალი? ჩვენსავე ტბაზე თევზი ვერ დაგვიჭერია და სახლში ვერ მიგვიტანია",** – საუბრობენ ჯანდარის ტბის მეზობლად მდებარე სოფელ ლემშვენიერაში.

ლემშვენიერა ახალმა წესებმა ყველაზე მეტად დააზარალა. ჯანდარის ტბაზე ჩვენი სტუმრობის დროს ორი მეთევზე შევნიშნეთ, თუმცა როგორც კი მივუახლოვდით, ნავში ჩასხდნენ და ტბის წყალმცენარეებით დაფარულ ნაწილს შეაფარეს თავი.

გაყიდული ტბის მფლობელის დასადგენად მისულებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში გვირჩიეს, ეკონომიკის სამინისტროს რეგიონულ წარმომადგენლობას მიმართეთო. თავის მხრივ, ქვემო ქართლის ქონების მართვის სამსახურმა, რომელიც რეგიონში ქონების უწყების წარმომადგენელია, განაცხადა, რომ საკითხი გარემოს დაცვის სამინისტროს ეხება.

საბოლოოდ კი გაირკვა, რომ მდინარეებსა, თუ ტბებში თევზჭერის ლიცენზიას ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტრო განაგებს. თუმცა ჯანდარის ტბაზე თევზჭერის ლიცენზია იმ დროს გაიყიდა, როდესაც მსგავსი საკითხები ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა. ოფიციალური მონაცემებით ტბა, რომელსაც იმედის თვალით შეჰყურებენ ლემშვენიერაში, 2010 წლის 1 მარტს, 20 წლის მართვის და თევზჭერის უფლებით გადაეცა, შპს „ჯანდარის ტბა 2"-ს.

**„1 მარტს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი ჩაატარა. აუქციონი გამოცხადებული იყო 3 ობიექტზე, გაიყიდა სამივე ობიექტის ლიცენზია, შემოსულმა თანხამ 33 ათასი ლარი შეადგინა. დღესვე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის გაცემის მიზნით კიდევ ერთი აუქციონი ჩაატარა. აუქციონზე გაიყიდა შემდეგი ობიექტების ლიცენზიები:**

**თევზჭერის ლიცენზია ჯანდარის ტბაზე. გასაყიდი ფასი 132 000 ლ. შეიძინა შპს „ჯანდარის ტბა – 2;" – ვკითხულობთ ეკონომიკის სამინისტროს გაცემული ლიცენზიების ჩანაწერებში.**

ჯანდარის ტბა 132 000 ლარად, 20 წლით გასხვისდა. ლიცენზია, რომელიც შპს „ჯანდარის ტბა – 2"-მა მიიღო, მას სრულ უფლებას აძლევს, არავინ მიუშვას ტბასთან და მხოლოდ, თვითონ აწარმოოს თევზჭერა. ლიცენზიის პირობების თანხმად, მას გარკვეული სახეობის თევზის შენარჩუნება და გამრავლება ევალება.

ალბათ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს გარდა არავის მოუვიდოდა თავში ჩალის ფასად 20 წლით მსგავსი ლიცენზიის გაცემა. მომდევნო 20 წლის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა არა მხოლოდ ბადით, ანკესით თევზაობის უფლებასაც კარგავს.

26 მარტს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტრომ, რომელსაც დღეის მდგომარეობით მსგავსი ლიცენზიების გაცემის უფლება აქვს, საჯარო განხილვა მოაწყო. განხილვა, რამდენად იყო საჯარო, კიდევ საკითხავია, თუმცა ამაზე საუბარი უკვე გვიანაა.

**„სსიპ „ბუნებრივი რესურსების სააგენტო" წარმოგიდგენთ შპს „ჯანდარის ტბა 2"-ზე (ჯანდარის ტბა) 20 წლის ვადით გაცემული №100031 თევზჭერის ლიცენზიის შესაბამისად შემუშავებულ შიდა წყალსატევისა და თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმას განმეორებითი საჯარო განხილვისთვის",** – ვკითხულობთ სამინისტროს საიტზე.

შესაბამისად, მალე შპს „ჯანდარის ტბა 2"-ს თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმას დაუმტკიცებენ. ამის შემდეგ შპს თევზჭერის უფლებას სრულად იღებს. მის ქონებას და ლიცენზიით მიღებულ უფლებებს ადგილობრივი სამართალდამცავები დაიცავენ.

**მოსახლეობას კი შეუძლია, შორიდან უყუროს ტბას და ითევზაოს ტბაში შემავალ წყლის არხებში, სადაც ბევრს ვერაფერს დაიჭერს, მაგრამ დაჯარიმების შიში არ ექნება.**

**132 000 ლარად 20 წლით გასხვისებული ჯანდარის ტბა კი ჩვეულებრივ მოკვდავებს 18 წლის შემდეგ მიიღებს.**

მანონ ბოკუჩავა,
ქვემო ქართლი

◉ საღამოს „ჭორი“ ბალისკიდიდან

# „ქუთაისი ფალოსს ემსგავსება“...

## ჟურნალისტის შეფასებამ საკრებულო შოკში ჩააგდო

**ჟურნალისტმა, პუბლიცისტმა და ჯემალ ქარჩხაძის საზოგადოების ხელმძღვანელმა მედეა ჩოგოვაძემ 28 მარტს, საკრებულოს რიგით მე-20 სხდომაზე, საკმაოდ ხმაურიანი და ქუთაისელთათვის უჩვეულო განცხადება გააკეთა.**

ის იყო, საკრებულოს თავმჯდომარეს ამირან ხვადაგიანს სხდომა დახურულად უნდა გამოეცხადებინა, რომ ქალბატონი მედეა წამოდგა, მიკროფონი მოითხოვა და სიტყვის წარმოთქმა დაიწყო: **„მე მრცხვენია, რომ ქუთაისელი ვარ. არა იმიტომ, რომ არ მიყვარს, ან ულირს ქალაქში ვცხოვრობ, არამედ იმიტომ, რომ ქუთაისში ბუნებას პატივს არ სცემენ. როგორ შეიძლება, გადაბელო ფიჭვები უბადრუკი პალმებივით და ტოტები მხოლოდ კენწეროში დაუტოვო?! ჭავჭავაძის გამზირზე გადაბელეს ჭადრები, რომლებიც ახლა ფალოსებს ჰგავს და, აქედან გამომდინარე, მთელი ქალაქი ფალოსს ემსგავსება. შეწყვიტეთ ბუნების გაჩეხა. ის ისეთივე სულიერია, როგორც ჩვენ.“**

როცა ბუნების გაჩეხის შემდეგ ჟურნალისტი მესხიშვილის თეატრის რეაბილიტირებისა და ოპერის თეატრის შენობის არმოწონების თემაზე გადავიდა, ამირან ხვადაგიანმა სიტყვის შეწყვეტა მოსთხოვა, თუმცა ქალბატონი მედეა თავის მთავარ სათქმელს კვლავ დაუბრუნდა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის რამაზ კილაძის განცხადების წაკითხვა დაიწყო: **„ქალაქში ჭადრების გადაბელვა მიმდინარეობს ყოველგვარი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფით. ეს სავალალოდ იმოქმედებს მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ისინი 10-15 წელიწადში დაიწყებენ ხმობას, რაც ყოველმხრივ დაუშვებელია. ეს ხმობა კი ამ გადაბელვით იქნება გამოწვეული,“** — აღნიშნულია განცხადებაში.

მედეა ჩოგოვაძის გამოსვლას არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. ნაწილმა ქუთაისში გადაბელილი ხეების მანდილოსნისგან ფალოსისთვის შედარება (SIC!) ხუმრობად მიიღო, ნაწილმა — პროტესტის ნიშნად, სხდომაც კი დატოვა.

**ირაკლი ვაჩიბერიძე**

◉ გაზეთის პუბლიკაციის კვალდაკვალ

# ქუჩა ისევ გალამაზდა!..

„საქართველოს რესპუბლიკის“ 15 მარტის ნომრის პუბლიკაციაში — **ჯვარული „მუზეუმი“, ანუ რატომ და ვისთვის ინახავენ იქაურები საგანგებოდ ვარდების რევოლუციამდელ „ექსპონატს“?** — ვწერდით იმ უწესრიგობებზე, რაც სვანეთის ღირშესანიშნაობების მონახულებისას ქალაქ ჯვარის, სამეგრელოს ამ კოპწია დასახლების, გავლისას ცენტრალურ ქუჩაზე ვნახეთ.

შეგვატყობინეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით არსებული პრობლემა მოგვარებულია. წყაროს სანდოობაში ეჭვი ოდნავადაც არ შეგვიტანია, მაგრამ მაინც შევეხმიანეთ ამ ქალაქში მცხოვრებ ჩვენს მეგობარსა და კოლეგას, მწერალსა და ჟურნალისტს **მურად ჭანტურიას.**

— კი, მართალი უთქვამთ, — გვიპასუხა მან. — ქუჩა ისევ გალამაზდა. პრობლემები, როგორც მაშინაც გითხარით, გაჭიანურებულმა ზამთარმა და დიდთოვლობამ წარმოშვა. თოვლის აღებისთანავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (თავადაც ჯვარელია), შემდგომ — გამგებელიც ადგილზევე გაეცნენ სიტუაციას და ზუგდიდის საგზაო სამმართველოსთან ერთად, ერთობლივი ძალებით, სწრაფად მოწესრიგდა ყველაფერი. უნდა გითხრათ, რომ ძალზე დიდი ძალისხმევა დასჭირდა წყალგამწოვი დახურული არხის გაწმენდას, რაც მხოლოდ წალენჯიხელი და ჯვარელი მეხანძრეების დახმარებით გახდა შესაძლებელი. იმისათვის, რომ მოვარდნილმა ნიაღვარმა შემდგომშიც რომ არ ჩახერგოს არხი, სათანადო გადაწყვეტილება ადგილზევე იქნა მიღებული: სანიაღვრე არხი გაიჭრება თავადაც დაინტერესებული მოსახლის ეზოს გავლით, განაპირას, პირდაპირ და მოკლეზე. წვიმისას მოვარდნილი ნიაღვარი ადრე აფუჭებდა ადგილობრივი მნიშვნელობის შუკას, გადმოდიოდა ცენტრალურ გზაზე, სახლში და ეზოებში უვარდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთ, ქვა-ღორღით ავსებდა იქაუროებას... არხის გაჭრა ყველა ამ პრობლემას სამუდამოდ მოაგვარებს. ერთი სიტყვით, მრავალმხრივი კარგი საქმე გაკეთდება!

**— „ენერგოპრო ჯორჯიასთან“ გქონდათ კიდევ პრობლემა! მხედველობაში მაქვს ქუჩასა და იქაური მცხოვრების ეზოში ჩამოყრილი სადენები, რომელსაც, როგორც ჯვარელებმა მითხრეს, ქალაქის რწმუნებულის არაერთი მიმართვის მიუხედავად, არადა არ დაადგა საშველი.**

— „ენერგოპრო ჯორჯიას“ წალენჯიხის სერვისცენტრში, რომლის მომსახურების ზონაში შედის ჩვენი ქალაქიც, ახალი ხელმძღვანელი დაინიშნა. მას პირადად არ ვიცნობ (სხვათა შორის, არც ერთ წინა ხელმძღვანელთან „შეხმატკბილებული“ ურთიერთობა არ მქონია!), მაგრამ ჩემდა გასაკვირად (და ბევრის გასაკვირადაც!), ქალაქის რწმუნებულს მხოლოდ ერთხელ თქმა დასჭირდა, რომ მისი თანამშრომლები იმ დღესვე მოსულიყვნენ და ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სახიფათოდ ჩამოყრილი სადენები ერთ საათში გაესწორებინათ. თუმცა წინა ხელმძღვანელის დროს ამ ქუჩაზე დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორება მას კიდევ მოუწევს: კაბელები, რომლებითაც სხვა უბნის მცხოვრებლებს მიეწოდებათ ელექტროენერგია, უნდა ჩამოიხსნას ქუჩის განათების რკინის ბოძებიდან, რომლებსაც მათ სიმძიმეს, როგორც თავადაც ნახეთ, ვერ გაუძლეს და გადაიღუნნენ. თუმცა, ეს, ალბათ, უფრო მომავლის საქმეა, მაგრამ სერვისცენტრის ახალმა უფროსმა ჩამოყრილი სადენების პრობლემა ისე სწრაფად მოაგვარა (მაგიდაზე ვაკაკუნებ — თვალი არ ეცეს!), თუ ასეთი ტემპით მიუდგა ყველა საქმეს, ერთ კვირაში შეიძლება ისიც გაასწორებინოს!

**გურამ სიხარულიძე**

◉ სამომხმარებლო კალათა

# ახალი ხერხით გათვლილი სიდუხჭირე

**მოსახლეობისთვის საარსებო მინიმუმის, სამომხმარებლო კალათის გათვლის ხერხით განახლება, პერმანენტულად, ყველა ქვეყანაში ხდება. ახლახან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სამომხმარებლო კალათა სხვა მეთოდოლოგიით გამოთვალა.**

ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამომხმარებლო კალათაში სასურსათო პროდუქციის წილი 40-დან 30 პროცენტამდე შეამცირეს, რის მიზეზი, როგორც საქსტატში აცხადებენ, ინფლაციის საერთო მაჩვენებლის ფორმირებაზე საქონლის სასურსათო ჯგუფის გავლენის შემცირებაა. მთლიანად განახლებულ სამომხმარებლო კალათაში 12 სასაქონლო ჯგუფია, რომელშიც 288 დასახელების საქონელია შეტანილი. მანამდე სამომხმარებლო კალათა შინამეურნეობათა გამოკითხვის საფუძველზე დგებოდა. ამასთან დაკავშირებით საქსტატში იმას მიუთითებენ, რომ აღნიშნული ცვლილება ქვეყნის სტატისტიკის სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შემოღებას უკავშირდება.

უნდა ითქვას, რომ სამომხმარებლო კალათა ქვეყანაში ინფლაციის დონის (ანუ სამომხმარებლო ფასების ინდექსის) გასაანგარიშებლად წლეულს, იანვრიდან, ეროვნულ გაანგარიშებათა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას დაეფუძნა. **განახლებული სამომხმარებლო კალათა მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯის სტრუქტურას ისე ასახავს, რომ ინფლაციის მაჩვენებელს უფრო სანდოს ხდის,** აცხადებენ საქსტატში. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ სამომხმარებლო კალათა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევებით მიღებული სტრუქტურის საფუძველზეა გათვლილი. მოხმარების პროპორციულად თითოეულ პროდუქტს თუ მომსახურების სახეობას შესაბამისი ხვედრითი წონა აქვს მინიჭებული. სამომხმარებლო კალათის შიგთავსს ის საქონელი და მომსახურების სახეობა შეადგენს, რომლებსაც ქვეყნის მოსახლეობა სხვებზე უფრო ხშირად მოიხმარს. ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, სამომხმარებლო კალათის შიგთავსის განახლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მოხდება, ბოლოს კი ეს პროცედურა 2010 წლის იანვარში განხორციელდა.

წლევანდელი თებერვლის მონაცემებით, შარშანდელთან შედარებით საქართველოში სამომხმარებლო კალათის ღირებულება 2,1 პროცენტითაა შემცირებული. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, სასურსათო საქონლის ნაწილობრივმა გაიაფებამ 3,5 პროცენტი შეადგინა, თუმცა კი კომუნალური გადასახადებისა და სატრანსპორტო ხარჯის გაზრდამ ეს მაჩვენებელი 2,1



პროცენტამდე შეამცირა. სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე მეტად ბოსტნეული გაიაფდა (35 პროცენტით). თუმცა ამავე პერიოდში გაძვირდა სხვა სასურსათო საქონელი, მაგალითად, ხორცი (15 პროცენტით).

ამასთან, ექსპერტები საქსტატის დასკვნებს არ იზიარებენ და სამომხმარებლო კალათის გაიაფების საფუძველს ვერ ხედავენ. მათი აზრით, **წლევანდელ მაჩვენებელთა შარშანდელთან შედარებით პროცენტის გამოყვანა რეალურ სურათს არ ასახავს. საქმე ისაა, რომ სამომხმარებლო კალათაში გაიაფებული საქონლის წილი გაძვირებულის წილის შემცირების ხარჯზეა გაზრდილი, ხოლო სურსათზე ფასები რაიონების მიხედვითაა გამოყვანილი, იქ კი თბილისთან შედარებით (სადაც ქვეყნის მოსახლეობის 40 პროცენტი ცხოვრობს) ისინი დაბალია.**

ასევე აღნიშნავენ, რომ სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ხვედრითი წილის 40-დან 30 პროცენტამდე შემცირებამ წლის დამდეგიდან განვლილი პერიოდის ინფლაციის მაჩვენებელზე გარკვეული ზეგავლენა იქონია. **თუ წინა წლებში სურსათზე ფასების მატება ინფლაციის მაჩვენებლის ზრდის მთავარ „მამოძრავებელ ძალას“ წარმოადგენდა, წლეულს სურსათის ფასებს დომინანტის როლი აღარ აქვთ, რაც ძირშივე არასწორია იმ მარტივი მიზეზით, რომ ქვეყნის მოსახლეობის ყოველთვიური ხარჯის ლომის წილი სწორედ რომ სასურსათო პროდუქციისა და პირველადი მოხმარების საგნებზე მოდის.** ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინფლაციის დონის განსაზღვრა იმისდა მიხედვით უნდა წარმოებდეს, თუ საკუთარი შემოსავლის რამდენ პროცენტს ხარჯავს მოსახლეობა სასურსათო საქონლის შესაძენად** და არა იმის მიხედვით, თუ ამას ევროკავშირში როგორ ითვლიან, სადაც ცხოვრება სულ სხვაგვარადაა აწყობილი და ეს არანაირ საიდუმლოს არ წარმოადგენს. ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ანუ იგივე ინფლაციის მაჩვენებელი) ერთადერთია, რომელიც ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების დონის ცვალებადობას ზომავს.

ადრეც არაერთგზის აღგვინიშნავს, ამჯერადაც გავიმეორებთ, რომ სამომხმარებლო ფასების ყოველთვიური რეგისტრირება საქართველოს ხუთ უდიდეს ქალაქში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავსა და გორში — ოცი რეგისტრატორის მიერ წარმოებს, რომლებსაც საცალო ვაჭრობისა და მომსახურების 1300-ზე მეტი ობიექტი ერთმანეთში აქვთ გადანაწილებული.

საარსებო მინიმუმი კი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს უმეტესწილად მოსახლეობის კვებისა და პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის დონეს ეროვნული სტატისტიკური სამსახური, რის მიმართ ჩვენი ნეგატიური დამოკიდებულება ადრეც ბევრჯერ გამოგვიხატავს, მას მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობენ, რომელიც ჯერ კიდევ 9 წლის წინათ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებითაა დადგენილი.

წლევანდელი ზამთრის მონაცემებით კი **შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი თვეში 157,2 ლარს შეადგენს; საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი იმავე პერიოდში 139,3 ლარია, ხოლო საშუალო (ოთხკაციანი — რედ.) ოჯახის საარსებო მინიმუმი — 263,7 ლარი.**

რაც შეეხება ძირითად სასაქონლო ჯგუფებსა და მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში მათ წილს, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე 30,3 პროცენტი მოდის; ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე — 27 პროცენტი; კომუნალურ გადასახადებზე — 8,2 პროცენტი; ჯანდაცვაზე — 7,5 პროცენტი, ტრანსპორტზე — 12,8 პროცენტი, კავშირგაბმულობაზე — 5,6 პროცენტი და ა.შ.

სიმართლე გითხრათ, პატივცემულო მკითხველო, მარტო **ამ ჩამონათვალში იმაზე მეტი მასალაა, რაც ერთ კაი მოზრდილ საგაზეთო წერილს „სალადაოდ“ ეყოფოდა — მარტო კომუნალური გადასახადების — ბინის ქირის, ელექტროენერგიის, გაზის, დასუფთავების, წყლის 8,2 პროცენტი და ჯანდაცვის 7,5 პროცენტი რად ღირს!** მაგრამ თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერი ეს ყველამ ისედაც მშვენივრად იცის, ზედმეტი ხალისობის გუნება-განწყობა კი ყველას ერთნაირად არა გვაქვს, საკუთარი დასკვნები ყველამ თავისთვის გამოიტანოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

# ღიმილ-სიცილით მკურნალი

**80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ოთარ ხუციშვილი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

ჩვენო ბატონო ოთარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან მხცოვან, ამაგდარ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენ ერთი მშვენიერი მაგალითი ბრძანდებით იმისა, თუ როგორ შეიძლება პირნათელმა მამულიშვილმა ჩუმად, უხმაუროდ აკეთოს დიდი საერო საქმეები, სული უბეროს იმ სიკეთეებსა და მადლს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი არსებობა.

თქვენ უკვე თვალსაჩინო და დაფასებული ჟურნალისტი ბრძანდებით, როცა 1981 წელს პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები გამოაქვეყნეთ გაზეთ „თბილისში“. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. თქვენი იუმორისტული და პუბლიცისტური ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი წიგნები „ნიღბების დღესასწაული“, „სიბრძნე სიცილისა“, „რაფრა მევიქცეთ ახლა ჩვენე“, „ელამი სარკე“ ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, სიმართლით, დიდი ადამიანური სიმართლით იპყრობს.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ღირსების ორდენით აღინიშნა. მონიჭებული გაქვს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მრავალი პრემია.

თქვენი პირდაპირობის და შემართების ნიმუშია თუნდაც ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი შემდგენელ-რედაქტორი ბრძანდებით მედეა მეზვრიშვილისადმი მიძღვნილი მოგონებების კრებულისა, რომელმაც ყველას დაანახა, რომ მაშინდელ „ყბადაღებულ“ პარტიულ მუშაკებთან ახლოსაც ვერ მივა თანამედროვე საქართველოს ზოგიერთი მესვეური...

ჩვენო ოთარ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფასსა და უღალატო მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**



## ოთარ ხუციშვილი— საუკუნისკენ!...

## სიბერე სიბრძნის სიბერეც ყოფილა

**არ მინდა, ვინმემ საიუბილეო ქათინაურად გაიგოს, მაგრამ სულაც არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ ოთარ ხუციშვილი, ძალიან ბევრისგან განსხვავებით, დიახაც ის ჟურნალისტია, ვისაც თავისი მკითხველი მუდამ ჰყავდა და ჰყავს, რომელიც ელოდებოდა და ელოდება ოთარ ხუციშვილის ხელმოწერით გამოქვეყნებულ ჟურნალისტურ მასალას...**

ამას ისე, სიტყვის მასალად კი არ ვამბობ, პირადად ვადასტურებ, რადგან არა ერთსა და ორ ადამიანს უთქვამს ჩემთვის, თქვენი გაზეთის ფურცლებზე ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვკითხულობ ოთარ ხუციშვილის წერილებსო... და ასეა არა მარტო დღეს. ჩვენს გაზეთამდე, ანუ „საქართველოს რესპუბლიკამდე“, ოთარი ხან რომელ გაზეთშია ნამუშევარი, ხან რომელ ჟურნალში და, კიდევ ვიმეორებ, ყველგან თავისი მომლოდინე მკითხველი ჰყავდა....

ამიტომ ეჭვშეუვალად მიმაჩნია, რომ, არ ვიცი როდის, მაგრამ როცა დაიწერება ჩვენი დროის ქართული ჟურნალისტიკის პირუთვნელი ისტორია, იქ ოთარ ხუციშვილის სახელ-გვარს გვერდს ვერ აუვლიან.

ოთარს თავისი მარილიანი სიტყვა აქვს ნათქვამი აგრეთვე როგორც მწერალს, არავისი მსგავსი მოთხრობების რამდენიმე კრებულის ავტორს. ოთარ ხუციშვილის ხალხური სიტყვიერების მადლით ნასაზრდოები იუმორი, არცთუ იშვიათად სატირულ სიმძაფრეში გადაზრდილი, იქნებ ერთხელ შესწავლის საგანიც კი გახდეს. ახლა ამ ყველაფერს, როგორც საკუთარ წამწამთ სიახლოვის გამო, მთელი სიცხადით ვერ ვხედავთ.

ოთარს სიბრძნე არცროდის ჰკლებია, მაგრამ თუ ოთხმოცი წელი სიბერედ უნდა ჩავთვალოთ, ასაკმა იგი ბევრად უფრო ბრძენი გახადა, რომელ სიბრძნესაც უწინარესად თვითონ ოთარისავე უტყუარი ადამიანურობა ესაძირკვლება. არადა, სადაც ეს უტყუარი ადამიანობა არ არის, იქ არც მწერლობასა აქვს ფასი და არც ჟურნალისტიკას.

დიდად სამწუხაროდ, ეს ბევრს ასე არ ესმის...

**გურამ გოგიაშვილი**

## მზისგულა მეგობარი

**ოთხმოც წელიწადზე ვერ იტყვი, თვალსა და ხელს შუა გასულაო.**

ოთხმოცი წელიწადი ადამიანთა უმრავლესობისთვის მიუღწეველი ასაკია.

ჩამავალ მზეს თუ ყოველდღე მიაქვს ჩვენი სიცოცხლის ნაწილი, თავი უნდა დავუხაროთ ოთარ ხუციშვილის ბედისმწერალს, რომ ასეთი სულგრძელობა გამოიჩინა და მეოთხმოცე 4 აპრილს მოგვასწრო.

„რა იციან ცოცხლებმა, რაა სიკვდილი, როცა ისიც კი არ იციან, რაა სიცოცხლე“, — უთქვამს კონფუცის.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ჩვენმა განათლებით ფილოსოფოსმა ძმამ ოთარ ხუციშვილმა მშვენივრად იცის სიცოცხლის ფასი და არც სიკვდილი აშინებს, რადგანაც ის ტკბილად მოხუცდა, თაფლწასმული მემატიანის როლი მოირგო, სიკეთის მთესველი ჟურნალისტიკის ეტალონი გახდა და ღმერთთან საუბრის უფლებაც მოიპოვა.

საქართველოში ვერ მოძებნით ადამიანს, ოთარ ხუციშვილის პიროვნულ სიმაღლეს რომ არ აქებდეს, მის ფრთიან, ცინცხალ სატირასა და იუმორს, ნიჭიერებით ბეჭედდასმულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ (განსაკუთრებით საეკონომიკო) ჟურნალისტიკას არ აფასებდეს.

წლების განმავლობაში იყო ახმეტისა და თელავის რაიონული გაზეთების რედაქტორი, მოღვაწეობდა გაზეთებში „სამგორი“, „თბილისი“, „რესპუბლიკა“, ჟურნალ „საზრისში“. ბოლო ოცი წელიწადია მისი ნაკალმარი ამშვენებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“.

ოთარ ხუციშვილის წიგნები — „ნიღბების დღესასწაული“, „სიბრძნე სიცილისა“, „ელამი სარკე“ და სხვ., ათეულ ათასობით მკითხველის და პრაქტიკოსი ჟურნალისტების ნიადაგთვალჩასაკრავი გამოცემებია, როგორც ნაღდი პუბლიცისტიკისა და ნაღდი მწერლობის ნიმუშები.

ოთარ ხუციშვილი სიკეთით და რწმენით სავსე კაცია;

ახალგაზრდა კოლეგებისთვის ნიჭიერების და შრომისმოყვარეობის სიმბოლოა;

უბრალოების და ზომიერების განსახიერებაა;

მშობლიურ რუისპირსა და თელავზე უზომოდ შეყვარებულია...

დარწმუნებული ვარ, ოთარ ხუციშვილი ისევე ადვილად და ლაღად მოიჭირნახულებს მთელ საუკუნეს, როგორც ეს 80 მოიჭირნახულა.

რაღა დარჩა, რო?!

გფარავდეს უფალი და მეგობრების სიყვარული, შე მართლაც ენაკვიმატო მზისგულავ!

**სპარტაკ ქოზულია**



## ჩვენთანა ხარ კაცურად!..

**წახდა ერი, ჩემო ოთარ,**
**მოგვიმრავლდა „გეიფი“,**
**მენატრება ზუზუმბოზე**
**კახელებთან ქეიფი.**
**მოძახილი, რომ სწვდებოდა**
**თელავს, ალაზნისპირებს...**
**ჰაი, ჰაი, ეს ცხოვრება**
**დანდობას არ გვიპირებს.**
**სად არიან ის ბიჭები?!**
**ბევრმა გაღმა გაცურა,**
**გულს უხარის, რომ შემოგვრჩი —**
**ჩვენთანა ხარ კაცურად.**
**კარგად ვიცი შენი სიტყვის**
**მოქნევა და მაზანდა,**
**ჩვენმა პრესამ შენისთანა,**
**განა ბევრი გაზარდა?!**
**დღეს კი მიჰყე ამ ცხოვრებას**
**(შენ რას შეცვლი, ბებერო),**
**იქნებ, ერთხანს შვილიშვილებს,**
**შვილთაშვილებს ეფერო!**

შენი —
**ვილენ მარდალეიშვილი.**

*იუმორისტის უბის წიგნაკიდან*

## დეპუტატს დაასლოკინა

ერთ ჩვენთვის კარგად ნაცნობ მაჟორიტარ დეპუტატს, რომელსაც პარლამენტის სხომაზე უსაქმურობისგან ჩაეყვინთა, მოულოდნელად სლოკინი აუვარდა.

— უხერხულია, თავი შეიკავე, — გადაულაპარაკა გვერდით მჯდომმა ნაციონალმა.

— რა ჩემი ბრალია,შეკვეთა კი არ მიმიცია, — სცადა თავის მართლება მაჟორიტარმა.

— მაშინ დარბაზიდან მაინც გადი, სირცხვილია.

— არსადაც არ გავალ, — გაჯიუტდა, — ჩემი ინიციატივით კი არ ვასლოკინებ შე კაცო!

— აბა ვისი ინიციატივით?

— რა ვიცი, ასე იოლად ვერ აგიხსნი, — თქვა სლოკინ-სლოკინით კოლეგამ.

— თქვი, ნუ გერიდება.

— მიზეზი, ჩემი აზრით, ქვეყნის მაღალი რეიტინგია.

— გაგიჟდი, სად ქვეყნის რეიტინგი და სად კიდევ სლოკინი?

— რა გიკვირს, ვერა ხედავ, ჩვენი სასწაულებრივი მიღწევებით მთელი მსოფლიო პირდაღებულია, — მალე ნატოში შევალთ, მერე — ევროკავშირში...

— მერე, სლოკინი მაგიტომ აგივარდა?

— აბა სხვა რას უნდა დავაბრალო? აი, ამ წუთებშიც უამრავმა უცხოელმა მეგობარმა დამირეკა. გვახსენებენ, ძმაო, გესმის, წარამარა გვახსენებენ!

— ეგ თუ მიზეზია, მაშინ უპირველესად ქვეყნის პრეზიდენტს — მიხეილ სააკაშვილს უნდა ატეხოდა სლოკინი და არა შენ, რიგით მაჟორიტარს.

— ამას წინათ კორეიდან დაბრუნებულმა (იქ თურმე ყველას საქართველოზე აზოდებს) ხომ თქვა კიდეც, ისეთი ამბები ხდება ჩვენს გარშემო, იმდენი ვინმე გვაქებს, ერთთავად უნდა გასლოკინებდესო.

— და შენც პრეზიდენტის მაგივრად ასლოკინებ?

— გინდაც ეგრე იყოს, მერე რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა? — განერვიულდა ნაციონალი, — თუ სადმე სამართალია, ამ შემთხვევაში ნაციონალებს უნდა გვასლოკინებდეს და არა მაჟორიტარებს. ეგღა გვაკლია, ჩვენს წარმატებებზე ოპოზიციონერებმა ასლოკინონ!

— რატომ გგონია, რომ ოპოზიციას ვემხრობი? — იწყინა მაჟორიტარმა, — ეგრე რომ იყოს, ჩემ რაიონში საავადმყოფოს მშენებლობას კი არ წამოვიწყებდი.

— მაგით ამაყობ?

— მარტო ამით არა, წელს იანვარში ერთ სკოლას შეშაც გავუგზავნე.

— რაღა დროს შეშაა, ძმაო, პარლამენტმა რომ გადაწყვიტა, ყველა სკოლაში ცენტრალური გათბობა იყოსო, რატომ არ ასრულებ?

— რა ხმაურია, კოლეგებო, — გაისმა დარბაზში პარლამენტის სპიკერის მონოტონური ხმა, — ზოგი ტელეფონით ლაპარაკობს, ზოგი ხვრინავს, ზოგიც ასლოკინებს.

ასეთ პირობებში როგორ ვიმუშაოთ?

— ალბათ, აუცილებელი გახდება, მუშაობის პროცესში დეპუტატებს მობილურები გამოვურთოოთ, — შეაგება ვიცე-სპიკერმა.

— პარლამენტის ქუთაისში გადასვლისთანავე ასეც მოვიქცევით, მაგრამ მანამდე ხომ გვინდა მუშაობა?

— აი, ხომ ხედავ, შენმა სულელურმა სლოკინმა რა გამოიწვია, — უსაყვედურა ნაციონალმა კოლეგას, — მთელ ჩემ ბიზნესსა და წილებს აქედან ვმართავდი მობილურით, ახლა რა მეშველება?

წილების ხსენებაზე დეპუტატს სლოკინი უმალ შეუწყდა, ეტყობა, ბიზნესს თავადაც აქედან უძღვებოდა...

— ვერ არის კარგი საქმე! — ამოიოხრა მაჟორიტარმა.

— რაზე ატყობ? — შეშფოთდა ნაციონალიც.

— იმაზე, რომ სლოკინი შემიჩერდა.

— ეს რას უნდა ნიშნავდეს?

— ეტყობა, ნატოში შესვლაზე კიდევ უარს გვეუბნებიან.

ნეიტრალიტეტის შესახებ, როგორც ჩანს, ნათელი წარმოდგენა არ არსებობს საზოგადოებაში. ამის მიზეზია ის, რომ სერიოზულად თითქმის არავინ არ საუბრობს მასზე. ზოგისთვის იგი „ფუფუნების უფლებაა“, ზოგისთვის – შეუძლებლობა. არადა, **ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფი საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი შესაძლოა, გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყოს. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადება მარტო საქართველოზე არ არის დამოკიდებული. იგი გარანტორი სახელმწიფოების თანადგომითა და ინიციატივით უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გამოცხადება ფარატინა ქაღალდად დარჩება.** გარანტორი კი ის სახელმწიფო ან სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ, ვის ინტერესებშიც შედის საქართველოს გადარჩენა, და არა ის, ვის ინტერესებშიც შედის მისი არგადარჩენა. იმ სახელმწიფოთა გარანტორობის იმედის ქონა, ვის ინტერესებშიც შედის საქართველოს გადარჩენა, ნეიტრალიტეტს რეალობაში განიხილავს და განხორციელების პერსპექტივას უქმნის; იმ სახელმწიფოთა მოიმედეობა კი, ვის ინტერესებშიც შედის საქართველოს არგადარჩენა, – ნეიტრალიტეტს ვირტუალობად აქცევს და განხორციელების პერსპექტივას აკარგვინებს.

პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძეს, რომელსაც, მისივე თქმით, ამ თემაზე მსჯელობა გაცილებით ადრე დაუწყია, ვიდრე ჩვენ ნეიტრალიტეტის „არხით“ თვითონ „დავინტერესებულვართ“. ბატონი ჯუმბერი სანამ თავის სადისკუსიო წერილს გამოაქვეყნებდა (თუმცა მისი წერილი ყველა სადისკუსიოა), თვითდაჯერებული წერდა საკუთარი თავის შესახებ: „გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 17 და 18 აგვისტოს ნომრებში დაიბეჭდა ბატონების ვალერი კვარაცხელიასა და ომარ ხახაშვილის წერილები... მათ წერილებში აშკარად ჩანს, რომ ნეიტრალიტეტის თემის განხილვისას ისინი პოლიტიკურად მიკერძოებულები ბრძანდებიან. ბატონებმა ვ.კვარაცხელიამ და ო.ხახაშვილმა დასვეს დაახლოებით ასეთი შინაარსის კითხვა – ვინაა ეს „უცნობი“ პოლიტოლოგი კირვალიძე, სად და რას „მოღვაწეობდა“ და, საერთოდ, იცის რა არის ნეიტრალიტეტი?.. მინდა მათ ვუთხრა, რომ ამ თემაზე მსჯელობა გაცილებით ადრე დავიწყე, ვიდრე ისინი ნეიტრალიტეტის „არხით“ თვითონ „დაინტერესდნენ“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 08.10.2010).

ეს პატივი მე შემთხვევით მერგო. ბატონი ჯუმბერი იმაზე ადრინდელ სტატიაში („სრ“, 03.08.2010) ფანტასტიკურ აზრს ავითარებდა, თითქოს მიხეილ სააკაშვილს (საუბარი იყო 2008 წლის ცხინვალური ავანტიურის შემდეგ, როდესაც პრემიერმა პუტინმა მას „პოლიტიკური ლეში“ უწოდა) ნეიტრალიტეტის გამოცხადების „უნიკალური შანსი და პრეროგატივა“ ჰქონდა! ამის გამო, უნებლიეთ შევეპასუხე პოლიტოლოგს: „რისი უნიკალური შანსი და პრეროგატივაც დარჩენია, ის არის, რომ დროზე გაასწროს აქედან, დუბაიში, სინგაპურში ან უგანდაში (თუმცა „ზანგები“ რასისტებს ვერ იტანენ!), სანამ ჰააგაში დაუძახებენ! ნეიტრალიტეტი არა, ის არ უნდა!“

ვაღიარებ: არ აღმოვჩნდი მართალი: ბატონი მიხეილისთვის არავისაც არ დაუძახია და, ტალიავინის კომისიის მიერ „ომის დამწყებად“ ცნობის მიუხედავად (რა კომისია უნდოდა მაგას?!), „პრეზიდენტს“ ხახვივით შერჩა მძინარე ცხინვალის „გრადის“ რაკეტებით დაბომბვა. ეს კია, რომ თუ უწინ საკუთარი „ბოინგით“ დაფრინავდა ქვეყნიდან ქვეყანაში და პრეზიდენტს პრეზიდენტზე ხვდებოდა, ეხლა მობილური ტრიბუნით (სავარძელში ვერ ჩერდება) სოფელ-სოფელ დადის და ლენტს ლენტზე ჭრის. თუმცა, სულ ახლახან, „გულიანმა ქალმა“ არა, მაგრამ „შავმა კაცმა“ დაუძახა და – რა რასიზმი, რის რაკეტები, „დემოკრატობანობის“ ისეთი დითირამბები უძღვნა, რომ სახტად დატოვა მის იმედად დარჩენილი ქართველი „საზოგადოება“! მოდი და, გქონდეს მისი გარანტორობის იმედი!

მაგრამ ბატონი ჯუმბერი ოპტიმისტია, ოპტიმიზმი კი ბოლოს კვდება. ვისი გარანტორობის იმედიც აქვს, მისი იმედი ნუ მოუშალოს ღმერთმა, მაგრამ რომელი სახეობის ნეიტრალიტეტი აქვს მხედველობაში – რეალური თუ ვირტუალური? ეგ იქნებ სტატიის ბოლოში გავიგოთ, აქ კი ის ვიკითხოთ, რისთვის სჭირდება ჩვენს ავტორსა თუ ოპონენტს (იგი ადგილ-ადგილ ავტორია, ადგილ-ადგილ ოპონენტი) ნეიტრალიტეტი?

როგორც პოლიტოლოგის მიერ ბიძინა ივანიშვილისადმი მიმართვიდან ჩანს, ნეიტრალიტეტის მიზანი მისთვის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება ყოფილა, რაშიც თურმე აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო დაეხმარებიან: „აქედან გამომდინარე, – „ნეიტრალიტეტისთვის კი არ უნდა ვიბრძოლოთ“, ბატონო ბიძინა, არამედ – საქართველოს გამთლიანებისთვის! აბა ისე, რა საჭიროა ნეიტრალიტეტი, თუ მისი მეშვეობით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ვერ დავიბრუნეთ?! ამის მისაღწევად კი, ნეიტრალიტეტის, როგორც საშუალების და მეთოდის გამოყენება, ვფიქრობ, რომ არ უნდა გამოირიცხოს! მე მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი ფრთხილობს (მართალიც არის!), ვინაიდან ნეიტრალიტეტი მოსკოვის შემოგდებული თემა იყო და მას პრორუსული ძალები ლობირებდნენ! სწორედ ამ „ლობისტებს“ მივმართე ჩემს ერთ სტატიაში: „ბატონებო, თქვენ კარგად იცით, რომ კრემლს დიდი ხანია შემუშავებული აქვს საქართველოს „ნეიტრალიტეტის რუსული სცენარი“, – ანუ, ნეიტრალიტეტის „რუსული ვერსია“, რომლის შესახებაც თქვენ „ბავშვური გულუბრყვილობით“ კითხულობთ – „რას ნიშნავს ეს რუსული ვარიანტი“?! საიდან მოიტანა ამ პოლიტოლოგმა“! „რას ნიშნავს“ ჩემო „მიამიტო“ ბატონებო და მისი განხორციელება ნიშნავს შემდეგს: საქართველოს სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის იმიტაციას, ეროვნული თავისუფლების პროფანაციას, – სუვერენიტეტის დაკარგვას“!.. ამ თემაზე, ქვეყნის სასიკეთოდ არავინ დაფიქრებულა!.. ჩემი აზრით, საქართველოს დეოკუპაციის და გამთლიანების მაშველი ხაზი ნეიტრალიტეტზე გადის! მაგრამ, საქართველოს ნეიტრალიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური და ყოველმხრივ დაცული, თუ ის დაეფუძნება საერთაშორისო სამართალს და მას ეყოლება საერთაშორისო გარანტორები – აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, გაერო (რუსეთუმე ლობისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ამბობენ, რომ მხოლოდ რუსეთი უნდა იყოს ერთადერთი გარანტი!)“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 07.01.2012).

**სადისკუსიოდ**

**რას ფიქრობთ ახლანდელ დროსა და სივრცეში საქართველოს ბედზე და როგორ გეოცნებებათ „ქართული ოცნება?..“**

ნეიტრალიტეტი რომ პოლიტოლოგის სტრატეგიული „ლავირების“ საშუალება და მეთოდია, ამის თაობაზე იგი ადრინდელ სტატიაშიც საუბრობდა: „ნეიტრალიტეტი თვითმიზანი არაა. ჩვენს მდგომარეობაში ნეიტრალიტეტი არის საშუალება და მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა... თუ გვინდა ქვეყნის გამთლიანება, ქართულმა საზოგადოებამ უნდა განასხვავოს ე.წ. „რუსული“ ნეიტრალიტეტი „დასავლური“ ნეიტრალიტეტისაგან... მე არ ვამბობ, რომ პოლიტიკური კურსი უნდა შეიცვალოს, არა, მაგრამ ამ ეტაპზე საჭიროებს კორექტირებას, ლავირებას...“

ამის გამო, ჩემს პასუხში საზრიანობას ვუქებდი ავტორს: „სააკაშვილი დროებით „ნეიტრალიტეტს“ გამოაცხადებს, რუსეთი გაბრიყვდება და აფხაზეთ-„სამაჩაბლოს“ დაგვიბრუნებს, მერე რეფერენდუმს მოვაწყობთ და, „მოსახლეობის კანონიერი სურვილით“, ისევ ნატოში შევალთ... დაილოცოს ქართული ჭკუის მადლი! რუსის ჭკუა, აბა, რას მოვა ქართულთან... გულახდილად რომ გეთქვა, პუტინი ეშმაკობას მიხვდებოდა და საქართველო ველარ გამთლიანდებოდა!“

მაგრამ ქართული ჭკუა მარტო რუსებს კი არა, ეტყობა, ამერიკელებსაც არ ჰყოფნით, რომ დროებით („ამ ეტაპზე“) მაინც მოგვცენ „სტრატეგიული“ ნეიტრალიტეტი. თუმცა როგორ მოგცემენ, თუ არ სთხოვე?! **ოპტიმისტი ოპონენტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტსა (სააკაშვილს გულისხმობს!) და პარლამენტს გარანტორობა რომ ეთხოვათ გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციისთვის, არ დაუჭერდნენ:** „საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტმა თხოვნით უნდა მიმართონ გაეროს, ეუთოს, ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას, რომ ისინი გახდნენ საქართველოს, როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს გარანტები! საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადება მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის სწრაფ აღდგენას – საქართველო ტოვებს დსთ-ს და უარს ამბობს ნატოში გაწევრებაზე. ეს არ იქნება ის ნეიტრალიტეტი, რასაც რუსეთის ელჩი კოვალენკო გვთავაზობდა...“ (სრ, 08.10.2010).

მერედა, ეთხოვათ თუ მიემართათ, ვინ უშლიდათ?! ვინ და, სწორედ ისინი უშლიდნენ და უშლიან, ვისთვისაც უნდა მიპოლიტიკურ ლიდერს სჭირდება ალტერნატიული, გამოკვეთილი სტრატეგია უპირველეს საკითხთან მიმართებაში, რასაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია!.. ამგვარი, აპრობირებული ალტერნატიული სტრატეგიის შეთავაზებას მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის – ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, დარწმუნებული ვარ უაღრესად დადებითი გამოხმაურება მოყვება, ვინაიდან და რადგანაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოუგვარებლობის საკითხი ერთ-ერთ დამაბრკოლებელ პრობლემად იქცა დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში!“

ავსტრიის მაგალითს ფინეთის მაგალითი სჯობდა, რადგან ერთ გარანტორს რაღაცას მოვუხერხებდით, მით უმეტეს, თუ „რუსეთის ელჩი კოვალენკო გვთავაზობდა“, მაგრამ ეს „რუსული ნეიტრალიტეტი“ გამოვიდოდა და ბატონი ჯუმბერი, ნეიტრალიტეტის (აფხაზეთ-ცხინვალის დაბრუნების!) გულისათვის, „რუსეთუმე ლობისტი“ ხომ არ გახდებოდა?! მას ავსტრიული ნებავს! ავსტრიული იყოს - ჯანი გავარდეს! მაგრამ აშშ-ს (ევროკავშირსა და გაეროს

## ვ. ნეიტრალიტეტი: ვირტუალური

ემართათ, რუსეთის ფედერაციის გარდა, რომელსაც თვითონვე შემოუთავაზებია, მაგრამ კოვალენკოს შემოთავაზებული „რუსული“ იქნებოდა, რუსული კი, ბატონ კირვალიძეს ნეიტრალიტეტიც არ უნდა: „ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არიან ძალები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მისაღწევად, საკმარისია რუსულ-ქართულ ორმხრივ ჩარჩო-ხელშეკრულებაში იმ დებულების ჩაწერა, რომელიც დაავალდებულებს საქართველოს, არ განათავსოს უცხო ქვეყნის (ან ბლოკის) სამხედრო ბაზები საკუთარ ტერიტორიაზე. პირისპირ დარჩენა რუსეთთან სეპარატისტულ ავტონომიებთან დაკავშირებით, აბსოლუტურად მიუღებელია!“

თუ ბატონი კირვალიძისათვის მიუღებელია, „პრეზიდენტმა“ სააკაშვილმა რაღა დააშავა, რომ მისაღები იყოს მისთვის, მით უმეტეს, რომ იცის, მიუღებელია აშშ-ისთვისაც! აშშ-ისთვის კი იმიტომ არის მიუღებელი, რომ რუსეთის (ირანისაც) წინააღმდეგ სადღა იშოვნის კარგ პლაცდარმსა?! ვერა, ვერ მოგცე შენი ნეიტრალიტეტი, „თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი დღესა!“

„მიუკერძოებელ“ პოლიტოლოგს, „რუსეთუმე ლობისტებისგან განსხვავებით“, სურდა, რომ საქართველოში, ნეიტრალიტეტთან ერთად, უცხო სახელმწიფოს (რა თქმა უნდა, აშშ-ის ანუ ნატოს) სამხედრო ბაზებიც მდგარიყვნენ, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც გაუგებარი პუტინი უცხო სახელმწიფოს სამხედრო ბაზების ნეიტრალიტეტთან შეთავსებას ვერ გაიგებდა, უმისოდ კი „ნეიტრალიტეტზე“ (აფხაზეთ-ცხინვალის დაბრუნებაზე!) ფიქრი აზრს დაკარგავდა, საჭირო გახდა, დროებით („ამ ეტაპზე“) ნატოში შესვლაზე უარის თქმა: „კარგი მაგალითია ავსტრია, რომლის შემთხვევაში ნეიტრალიტეტის გამოცხადება განაპირობა შეთანხმებამ სსრკ-სა და მოკავშირეებს – აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის... ავსტრია ევროკავშირის წევრია, მაგრამ არ არის ნატოში!.. ქართველებმაც ავსტრიელების სტრატეგია უნდა ავირჩიოთ, – უარი ვთქვათ ნატოში შესვლაზე, თუ ეს გადაწყვეტილება (შეთანხმება დასავლეთსა და რუსეთს შორის!) უზრუნველყოფს საქართველოს დეოკუპაციასა და გამთლიანებას, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუვალობას, უსაფრთხოებას, დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას! ცხადია, რომ საქართველოს ახალ თავი დავანებოთ) აღარ ეკითხება, რა ნებავს?! ამის საკითხავად, ბატონი ჯუმბერი აშშ-ში ხომ არ წავა, აგერ არ არის ბიძინა ივანიშვილი და მას ეკითხება. მაგრამ ბატონი ბიძინა გარკვევით ამბობს: „ნეიტრალიტეტს, მე მგონი, ჩვენ ვერ შევძლებთ. ასეთი სუსტი სახელმწიფოს პირობებში, სუსტი ეკონომიკით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რომ ვთქვა, ნეიტრალიტეტისთვის ვიბრძოლებ-მეთქი, – ამის იმედი ნუ გვექნება“.

ნეიტრალიტეტი სუსტსა და არსებულ ვითარებაში მყოფ სახელმწიფოს სჭირდება, აბა, ძლიერი და გალაღებული რა თავში იხლის?! მაგრამ ასე სურს ამერიკას და ბატონი ბიძინაც იძულებულია, ანგარიში გაუწიოს მის სურვილს?! ამითვე აიხსნება მისი კოალიციის წევრების – თინა ხიდაშელის, დავით ზურაბიშვილის, პაატა ზაქარეიშვილის, ელისო ჩაფიძისა და სხვათა თავშეკავებული პოზიცია ნათქვამი „აზიზის მეჩეთის“ საკითხში, მაგრამ რა ქნან, წინ ხომ ვერ აღუდგებიან აშშ-ის სურვილს?! თუმცა სად თურქეთი და – სად აშშ?!. კალამი ხომ არ გამექცა? უნებლიეთ, სააკაშვილის წისქვილზე არ დავასხა წყალი, დავუბრუნდეთ ბატონ კირვალიძეს.

პოლიტოლოგი ბატონი ბიძინას მიმართ შემწყნარებლობას იჩენს და ნამუსს წმენდს „ქართული ოცნების“ მებაირახტრეს: „მე მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი ფრთხილობს (მართალიც არის!), ვინაიდან ნეიტრალიტეტი მოსკოვის შემოგდებული თემა იყო და მას პრორუსული ძალები ლობირებდნენ!“ ბატონმა ჯუმბერმა გამოიცნო: ბიძინა იმიტომ არ იბრძვის ნეიტრალიტეტისთვის, რომ რუსეთის შემოგდებულია! მართლაც, ვაშინგტონის შემოგდებული რომ იყოს, რა თქმა უნდა, იბრძოლებდა! თუმცა ვინ დააცლიდა?! აქ მარტო სააკაშვილს არ ვგულისხმობ, ყველას, ვინც დღეს თავს იკლავს ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ! ბატონ ჯუმბერს რომ არ ნებავს, თავისებურად მართალია: მოსკოვის შემოგდებული არ უნდა და – ძალა ხომ არ არის?! ვაშინგტონის შემოგდებული – კი, ბატონო! მაგრამ ვაშინგტონი ნეიტრალიტეტებს არავის უგდებს და ბატონი ბიძინაც იძულებულია „სუსტი სახელმწიფო“ და „არსებული ვითარება“, როგორც დოსთვის მარილის კლება, მოიმიზეზოს. ბიძინა პოლიტიკოსია და ვალდებულია, რაღაც-რაღაცებს ანგარიში გაუწიოს. მაგრამ რას უწევს ანგარიშს პოლიტოლოგი ჯუმბერი – დოს თუ მარილს?!

პოლიტოლოგის აზრით, ავსტრიის მა-

გალითი იმით არის კარგი, რომ ჩვენზეა ზედგამოჭრილი: „ავსტრია ევროკავშირის წევრია, მაგრამ არ არის ნატოში!“ და ქართველებმაც ავსტრიელების სტრატეგია რომ ავირჩიოთ, ნატოში თუ ვერა, ევროკავშირში ნაღდად შევალთ! ხოლო „თუ ეს გადაწყვეტილება (შეთანხმება დასავლეთსა და რუსეთს შორის!ძ უზრუნველყოფს საქართველოს დეოკუპაციასა და გამთლიანებას, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუვალობას, უსაფრთხოებას, დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას, ამგვარი, აპრობირებული ალტერნატიული სტრატეგიის შეთავაზებას მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის – ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, დარწმუნებული ვარ, უაღრესად დადებითი გამოხმაურება მოყვება, ვინაიდან და რადგანაც („ვინაიდანს“ ძალიან უხდება „რადგანაც“ – **ო.ხ.**ძ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოუგვარებლობის საკითხი ერთ-ერთ დამაბრკოლებელ პრობლემად იქცა დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში!“

# რეალური და



**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოუგვარებლობისა რა გითხრათ, მაგრამ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის მოგვარებულობის საკითხი კი ნამდვილად დამაბრკოლებელ პრობლემად არის ქცეული დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში, ამასთან, არა ერთ-ერთ, არამედ მთავარ დამაბრკოლებელ პრობლემად:** აშშ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა და, ბუნებრივია, სჭირდება რუსეთის მდიდარი წიაღისეული და ენერგეტიკული სიმდიდრეები. რაში იყენებს რუსეთი თავის სიმდიდრეებს, როცა არც განვითარებულია და არც ინდუსტრიული?! ამისთვის „ეპარტნიორება“ იგი საქართველოს, თორემ რა აქვს სპილოს ბუზთან საპარტნიორო?

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვალერიან ადვაძის აზრით, აშშ-ის მიზანია, დაშალოს და დაასუსტოს რუსეთის სახელმწიფო, რათა დაეუფლოს მის ენერგეტიკულ რესურსებს. მაგრამ ბატონი ვალერიანი საქართველოს გადარჩენაზე ფიქრობს და არა აშშ-ის გადარჩენაზე: „საქართველოს გადარჩენა ამერიკა-რუსეთის დაპირისპირების სფეროდან მის გამოყვანაში, მისი ვირტუალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შეცვლაში რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით და მის ნეიტრალიტეტში მდგომარეობს. მაგრამ სააკაშვილის გადაყენებისათვის მებრძოლნი დღეს კვლავ „ევროატლანტიკურ სტრუქტურებში“, ნატოში საქართველოს შესვლაზე ლაპარაკობენ და ამ იდეებით ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, საქართველოს ნგრევა გაგრძელდება. ესაა ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ტრაგედია“.

**ამერიკა-რუსეთის დაპირისპირების სფეროდან საქართველოს გამოყვანა სხვა არა არის რა, თუ არა მისი ნეიტრალიტეტი. მაგრამ ვის სჭირდება საქართველოს ნეიტრალიტეტი, ანუ გადარჩენა? ამერიკას რომ არ სჭირდება, თავისთავად ცხადია, რადგან საქართველოს გადარჩენა მის ინტერესებში არ შედის. მის ინტერესებში შედის რუსეთის არგადარჩენა, საქართველო კი ამ საქმეში მისი „პარტნიორია“. ამერიკა-რუსეთის დაპირისპირებაში საქართველოს გადარჩენა, ასე თუ ისე, შეიძლებოდა დაგვეშვა, მაგრამ ამერიკას საქართველოს „პარტნიორობა“ აღარ ჰყოფნის და სხვა, უფრო დიდ პარტნიორს აგდებს არენაზე რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც ფეხებში ებლანდება საქართველო. ამ ვითარებაში, გადამწყვეტი იქნება რუსეთის პოზიცია – დაიცავს თუ არა იგი თავის ინტერესებს და რა უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის – საქართველოს დაღუპვა თუ გადარჩენა?**

გეოპოლიტიკის ანალიტიკოსის ვასილ მაღლაფერიძის აზრით, კავკასიის რეგიონში რთული გეოპოლიტიკური ვითარება იქმნება, რომელიც დაღუპვას უქადის საქართველოს. საქმე ეხება ქემალისტური თურქეთის ნეოოსმანისტურ იმპერიად ტრანსფორმირების პროცესს, რაც იმ ტერიტორიების დაბრუნებას ისახავს მიზნად, რომლებიც ოდესმე ოტომანთა იმპერიაში შედიოდა. ამ სივრცეში მოიაზრება საქართველოც. ამ ექსპანსიის პირველ ნიშნებს საქართველოს მიმართულებით ანალიტიკოსი ხედავს თურქეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი წაყენებულ მოთხოვნაში, აღადგინოს ძველი მეჩეთები ბათუმსა და ახალციხეში: „აზიზის მეჩეთი არის მხოლოდ პატარა წვერი უზარმაზარი აისბერგისა, რომელიც ჩვენსკენ მოცურავს!“ (იხ. მისი „ახალი ოსმალეთი, აზიზის მეჩეთი და გზაჯვარედინი. ახალი პოლიტიკური რეალობა“, „კალმასობა“ 2011ძ.

რა შეაჩერებს ამ აისბერგს? რა თქმა უნდა, მეორე აისბერგი, მაგრამ არა დაჯახებით, რადგან ეს ორივესთვის კატასროფა იქნება, არამედ ერთმანეთს შორის ინტერვალის დაცვით – საქართველოს ნეიტრალიტეტზე შეთანხმებით, რაც გამოსავალი იქნება მათთვის და ხსნა – საქართველოსთვის. რაც შეეხება იმის ვარაუდს, თითქოს „თუ პანთურქისტების იდეა იყო შუა აზიის სახელმწიფოების, ვოლგისპირეთის, ციმბირის და თურქული მოდგმის ხალხებით დასახლებული სხვა მიწების ერთი დროშის ქვეშ გაერთიანება, რაც მხოლოდ რუსეთის დაშლის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, ნეოოსმანიზმი იმავე ტერიტორიებს ევრაზიული გაერთიანების ნაწილად აღიარებს. ასე რომ ქემალიზმისგან განსხვავებით ახალი ოსმანიზმი რუსულ-თურქული პოზიციების დაახლოების სერიოზულ წინაპირობას წარმოადგენს“, ეს არადამაჯერებელია. ბატონი ვასილი იქვე წინააღმდეგობაშივარდება: „მიუხედავად მთავარ თემებზე სტრატეგიული შეთანხმებისა, უკვე შექმნის პროცესში მყოფ ამ ორ იმპერიას ერთმანეთში გასარკვევი მაინც რჩება იმ რამდენიმე ქვეყნის თუ ტერიტორიის საკითხი, სადაც ისინი უშუალოდ ესაზღვრებიან ერთმანეთს. პირდაპირი შეჯახება არც ერთს აწყობს, მაგრამ მხარეები შეეცდებიან „რბილად მიაწვნენ“ პარტნიორ-მეტოქეს და ჩააჩოჩონ სადავო ტერიტორიიდან. დაპირისპირების ერთ-ერთ ასეთ არენას წარმოადგენს სწორედ საქართველო, რომელსაც ორივე იმპერია დარწმუნებით საკუთარ ნაწილად მიიჩნევს“.

თუ „თურქეთი, ისევე როგორც რუსეთი, ისტორიულ-პოლიტიკური მეხსიერებით საქართველოს თავის საზღვრებში ხედავენ“, მაშინ მათ მისთვის ან უნდა იომონ, ან ავ ძალლებზე ცოტა უფრო გონივრულად მოიქცნენ და „არც მე, არც შენ“-ზე მორიგდნენ, რაც საქართველოსთვის ნეიტრალიტეტის ფუფუნების უფლების მიცემის ტოლფასი იქნება! რაც შეეხება სადავო ტერიტორიიდან პარტნიორ-მეტოქის ჩასაჩოჩებლად „რბილად მიწოლას“, თუ იგი მეორე პარტნიორ-მეტოქის სასიცოცხლო ინტერესებს სასწორზე აყენებს, ეს უომრად ვერ გადაწყდება, თურქეთს კი რუსეთთან ომში, „რუსეთუმეობას“ ნურავინ დააბრალებს, უბრალოდ ფეხი არ ჩაუვა. **ასე, რომ თურქეთის „დრანგ ნახ ოსტენ“ საბედისწერო შეიძლება გახდეს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რუსეთის ფედერაციისთვისაც, რადგან ნეოოსმანიზმიც პანთურქისტულ სივრცეს მოიცავს და გამორიცხულია, რომ რუსეთის ევრაზიულ სივრცეს არ შეეხოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანალიტიკოსის პერიფრაზით, აზიზის მეჩეთის უზარმაზარი აისბერგი, საქართველოსთან ერთად, რუსეთისკენაც მიცურავს. მოვლენების ასეთი განვითარება კი რუსეთს, საკუთარი სივრცის, და არა საქართველოს ლამაზი თვალების, გადასარჩენად, საქართველოს ბუნებრივ მეგობრად და სტრატეგიულ პარტნიორად აქცევს.**

მართალია, არსებობს მესამე მხარეც: აშშ, რომელიც თურქეთ-რუსეთის „არა მე, არა შენ“-ის ვარიანტში, ცხადია, თურქეთის მხარეს დადგება, რაც რუსეთს გაუძნელებს ამოცანას, მაგრამ ვინაიდან ისიც ატომური ზესახელმწიფოა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმის უნარი ეყოფა, თავისი სასიცოცხლო ინტერესები დაიცვას. რაც შეეხება აშშ-საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორობის“ ბედს, იგი, რაღა თქმა უნდა, აშშ-თურქეთის სტრატეგიულ პარტნიორობას შეეწირება. **საქართველო „ცუდად არის ჩაჩხირული“ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, და თუ რუსეთმა არ შეაჩერა თურქული აისბერგის „ცურვა“, საქართველოს რუკიდან გაქრობა მოელის. აისბერგის შეჩერების საშუალება კი, რუსეთის მიერ აშშ-თურქეთისათვის საქართველოს ნეიტრალიტეტის იძულებაა, რაც, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ინტერესებში შედის.**

**თუ „თურქეთი, ისევე როგორც რუსეთი, ისტორიულ-პოლიტიკური მეხსიერებით საქართველოს თავის საზღვრებში ხედავენ“, მაშინ მათ მისთვის ან უნდა იომონ, ან ავ ძალლებზე ცოტა უფრო გონივრულად მოიქცნენ და „არც მე, არც შენ“-ზე მორიგდნენ, რაც საქართველოსთვის ნეიტრალიტეტის ფუფუნების უფლების მიცემის ტოლფასი იქნება!**

ვასილ მაღლაფერიძის ლოგიკით, „ყველა დიდი სახელმწიფო საკუთარი პოლიტიკის გატარებას ცდილობს. როგორც თურქეთს, ასევე რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში თავისი ინტერესები აქვს. თურქეთს აჭარის შემოერთების ინტერესი ყოველთვის ჰქონდა. რუსეთსაც ეს სურვილი ამოძრავებდა. რუსეთი არის ძლიერი სახელმწიფო, თურქეთი – ნატოს წევრი ქვეყანა. სინამდვილეში თურქეთი და რუსეთი ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობენ... თურქეთი, ისევე, როგორც რუსეთი ისტორიულ-პოლიტიკური მეხსიერებით საქართველოს თავის საზღვრებში ხედავენ. საკუთარი ინტერესები აქვს ყველას: ევროპასაც, რუსეთსაც, აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც. ისინი ყოველთვის მზად არიან ამ ინტერესებისთვის ქმედითი ნაბიჯები გადადგან, ამიტომ საქართველოს ნეიტრალიტეტის ფუფუნების უფლებას არავინ მისცემს. ყველა ქვეყანას თავისი სიმართლე აქვს და ჩვენ ჩვენი სიმართლე უნდა დავიცვათ“ (საუბარი ჟურნალისტ ბონდო მძინარაშვილთან, „ობიექტივი“ 09.03.2010ძ.

ჩვენ რომ ჩვენი სიმართლე უნდა დავიცვათ, ამაში სავსებით მართალია ბატონი ვასილი, მაგრამ **პრობლემა ის არის, რომ ჩვენი ძალებით ვერ ვახერხებთ ჩვენი სიმართლის დაცვას და სხვისი დახმარება გვჭირდება. ამისათვის კი უნდა გავერკვეთ, ვინ არის ჩვენი პოტენციური მეგობარი და ვინ - მტერი. „პოლიტიკაში არ არსებობენ მეგობრები და მტრები, არსებობენ მხოლოდ ინტერესები“, მაგრამ ვის ინტერესებშიც შევა ხვალ ჩვენი გადარჩენა, ჩვენი მეგობარიც ის იქნება, ვის ინტერესებშიც ჩვენი არგადარჩენა,- ჩვენი მტერი! ნეიტრალიტეტის ფუფუნების უფლებასაც საქართველოს ის მისცემს, ვისი გადარჩენაც საქართველოს გადარჩენაზე იქნება დამოკიდებული – ასეთად კი, გვინდა თუ არა, ან მას უნდა თუ არა, რუსეთი ისახება.**

ამ გადმოსახედიდან, წინასწარმეტყველურად ჟღერს პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარის ვალერი კვარაცხელიას მიერ ბატონ კირვალიძის პასუხად ნათქვამი სიტყვები, პოლიტოლოგს „პრორუსულობად“ და „რუსეთუმეობად“ რომ ეჩვენება: „ნეიტრალიტეტის გამოცხადება ამა თუ იმ სახელმწიფოს გადასაწყვეტია, მისი ნების გამოვლენაა, მაგრამ ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტის აღიარება სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის, ცალკეული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმეა, სხვანაირი ნეიტრალიტეტი ბუნებაში არ არსებობს და ვერც იარსებებს... მაგრამ რას ნიშნავს, სად გაიგონა ან საიდან მოიტანა პატივცემულმა პოლიტოლოგმა ისეთი ცნება, როგორიცაა „ნეიტრალიტეტის რუსული ვარიანტი“. აქ თუ ის იგულისხმება, რომ საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებასა და აღიარებაში რუსეთია დაინტერესებული, ეს ცუდი კი არ არის, პირიქით, ძალიან კარგი და მისასალმებელი ამბავია, ვინაიდან რუსეთი ის ზესახელმწიფოა, რომელსაც უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია საერთაშორისო თანამეგობრობაზე და, მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის ნეიტრალიტეტით მისი დაინტერესება ამ მიზნის მიღწევაში დიდად დაგვეხმარება. რაც შეეხება საერთაშორისო გარანტორებს, რომელთა შესახებაც ავტორი საუბრობს, რუსეთი (თუკი იგი დაინტერესებულია, რომ ჩვენ ნეიტრალური სახელმწიფო ვიყოთძ სწორედ რომ ყველაზე დიდი გარანტორი იქნება... თუკი ბატონი კირვალიძე ეთანხმება ნეიტრალიტეტის იდეას, მაშინ... საჭიროა იმ არგუმენტების მოტანა, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველი უნდა იყოს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 17.08.2010ძ.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებას მაშინ სათანადოდ ვერც მე მივხვდი. მაგრამ რეგიონში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შუქზე, ცხადი ხდება, რომ რუსეთს სხვა გზა არა აქვს, თავისივე თავის გადასარჩენად, უნდა აიძულოს აშშ და თურქეთი, დათანხმდნენ საქართველოს ნეიტრალიტეტზე, რითაც გზას გადაუკეტავს მათ ექსპანსიას რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების ზონაში, რაც ისეთივე ხსნა იქნება მისთვის, როგორც საქართველოსათვის.

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე
27.03.2012

## რას წერენ ჩვენზე

„მე არაფერი ვიცოდი კანონის შესახებ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რუსეთის მხარემაც ამის შესახებ არ გამაფრთხილა“. ასეთი სიტყვებით აღიარა თავისი დანაშაული 50 წლის რუსეთელმა ბიზნესმენმა კონსტანტინ როდიონოვმა თბილისის საქალაქო სასამართლოში აფხაზეთში ჩასვლის გამო, საქართველოს ხელისუფლების ნებართვის მიუღებლად. ამ დროს საქართველოს იმედი აქვს, რომ მომავალში რუსი ტურისტების ნაკადი გაიზრდება.

რუსეთელი, რომელიც დააკავეს თბილისში თებერვლის შუა რიცხვებში, გამოუშვეს გირაოთი. მას ემუქრება თავისუფლების აღკვეთა ორიდან ოთხ წლამდე, ანდა გირაო ჩაეთვლება ჯარიმად და მას გაათავისუფლებენ. სასამართლოს დარბაზში როდიონოვმა განაცხადა, რომ თბილისში ჩამოვიდა საქმის გამო.

„ჩემი დაკავება — ეს რუსეთის მხარის ბრალია. მე არ გამაფრთხილეს შესაძლო პრობლემების შესახებ, რასაც შეიძლებოდა გადავეყრეოდი საქართველოში იმის გამო, რომ 2009 წელს ვიყავი აფხაზეთში“, — მოჰყავს როდიონოვის სიტყვები საქართველოს საინფორმაციო სააგენტო „პირველს“.

როდიონოვი მოსკოვშია ჩაწერილი, ის დაიბადა აფხაზეთში, ოჩამჩირეში. „ჩემს პასპორტში არის შტამპი აფხაზეთში ყოფნის შესახებ. მე არაფერი ვიცოდი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონთან დაკავშირებით. რუსეთის მხარესაც ამის შესახებ არ გავუფრთხილებივარ“, — თქვა მან და თავი დამნაშავედ აღიარა.

### თავი დამნაშავედ აღიარა

პროცესზე თავმჯდომარეობს მოსამართლე ნინო სანოძე. რუსეთელის ადვოკატი მაია ნინუა არ დავობდა ბრალდებებთან დაკავშირებით. ახლა საქმეს დეტალებში განიხილავს სასამართლო 10 აპრილს. ორშაბათის სხდომა ითვლება წინასწარ სხდომად.

როგორც ჩვენი გაზეთი ადრეც იტყობინებოდა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ორშაბათს როდიონოვის საქმეს „უკანონო უწოდა“. საგარეო საქმეთა სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმას, რასაც საქართველო ამტკიცებდა ადრე, რომ რუსეთელი გაათავისუფლეს ჯერ კიდევ თებერვალში. „ეს ინფორმაცია წინასწარვე ყალბია, რომელიც მიზნად ისახავს დაფაროს მყარი უკანონობა“, — გვაცნობეს სმოლენსკის მოედანზე. როდიონოვი გაათავისუფლეს ოთხშაბათს დღის მეორე ნახევარში თბილისის ციხიდან გირაოთი, რაზეც მას ადრე უარს ეუბნებოდნენ, იტყობინება რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყება.

როდიონოვი თბილისში ჩამოფრინდა 17 თებერვალს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა 29 მარტს განაცხადა, რომ როდიონოვი დიდი ხანია გათავისუფლებულია სახელმწიფოსთვის 2 ათასი ლარის გადახდის შემდეგ.

„აღსანიშნავია, რომ საზოგადოდ მიღებული საერთაშორისო წესების დარღვევასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ არ აცნობა ჩვენი მოქალაქის დაკავების შესახებ შვეიცარიის საელჩოსთან არსებულ რუსეთის ინტერესების სექციას თბილისში, შემდეგ კი დაჟინებით უგულებელყოფდნენ პირდაპირ მოთხოვნებს მისი ბედის გამო. როდიონოვმა დაამყარა კონტაქტები რუსეთის ინტერესების სექციასთან. ვუწევთ რუსეთის მოქალაქეს სათანადო კონსულტაციას დახმარებასთან დაკავშირებით“, — გვაცნობეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ორშაბათს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა იმის შესახებ, რომ ანალოგიური ბრალდებით დაკავებულია რუსეთის კიდევ ერთი მოქალაქე — ბელა ვეკუა. როგორც საქართველოს სასაზღვრო პოლიცია იტყობინება, ვეკუას ბრალს სდებენ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევაში, იგი ჩავიდა აფხაზეთში თბილისის ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე მდინარე ფსოუზე საკონტროლო გამტარი პუნქტის გავლით, რომელიც სოჭთან არის

# სტუმართ-მოყვარეობა ოთხი წლის ციხედ

## რუსეთელმა თავი „დამნაშავედ“ ცნო აფხაზეთში ჩასვლასთან დაკავშირებით



ახლოს. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

### თვითგამომააშკარავებელი შტამპი

როგორც ცნობილია, ტურისტული ნაკადი საქართველოში უკანასკნელ ხანებში გაიზარდა, მათ შორის რუსეთელების ხარჯზეც. მიუხედავად როდიონოვის საქმისა, თბილისში იმედი აქვთ, რომ ნაკადი არ შემცირდება.

ჩვენი გაზეთის წყაროები საქართველოს სამართალდაცვის ორგანოებში აღნიშნავენ, რომ რუსეთისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეთა ამგვარი დაკავებები არ არის მასობრივი. წყაროები აღნიშნავენ, რომ რუსეთის მესაზღვრეები, რომლებიც იცავენ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვრებს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, უკვე აღარ უსვამენ შტამპს საზღვრების გადაკვეთის შესახებ, ამიტომ იმის დადგენა, თუ რომელმა რუსეთელმა გადაკვეთა ეს საზღვრები, ქართველ მესაზღვრეებს ახლა უკვე აღარ შეუძლიათ. ყურადღების ცენტრში ხვდებიან მხოლოდ ისინი, ვინც ასეთი შტამპი მიიღო ადრე, ახლა კი ჩადიან საქართველოში.

ამას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკაც, რომელიც გამოქვეყნდა ორშაბათს. ამ უწყების მონაცემებით, მარტო მარტში ვიზიტიორების რაოდენობამ რუსეთიდან 6192 კაცი შეადგინა. ამ დროს შარშან მარტში საქართველოში სამჯერ ნაკლები ხალხი ჩავიდა — 2163 რუსეთის მოქალაქე. თებერვლის ბოლოს საქართველომ გააუქმა ვიზები რუსეთელებისთვის.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ საქართველოში მიიღეს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტრო ადრე აცხადებდა პროტესტს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ არ გააუქმა ეს კანონი რუსეთელებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ. ამ დღეებში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ ბევრი ევროკავშირში „კანონს ეგრეთ წოდებული ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მიიჩნევს კონტრპროდუქტიულად თავად საქართველოს ინტერესებისთვის“. „ის ხელს უშლის ურთიერთობას, კონტაქტების მოწესრიგებას და გამოიყურება აბსურდულად საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“, — თქვა კარასინმა.

რაც შეეხება როდიონოვს, მინისტრის მოადგილის სიტყვებით, მოსკოვს იმედი აქვს, რომ საქართველოში დაკავებული ეს რუსეთელი „უახლოეს პერიოდში იქნება გათავისუფლებული და შეძლებს, დაბრუნდეს რუსეთში“. „ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს წარმომადგენლებს, არის იმედი, რომ ეს ინციდენტი უახლოეს პერიოდში ამოიწურება“, — განაცხადა მან.

ვიზების გაუქმების შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრ ლუკაშევიჩი ამბობდა, რომ, როდესაც „გულითადად“ იწვევს რუსეთელებს საქართველოში და ჰპირდება „მოუწყონ მათ რაც შეიძლება ხელსაყრელი რეჟიმი“, მიხეილ სააკაშვილმა, რასაკვირველია, იცის, რომ საქართველოში მოქმედებს მის მიერ მიღებული კანონები, რომელთა თანახმადაც რუსეთის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანაში შემოსვლის დროს განიცდის სისხლის სამართლის დევნას“.

„ეს შეეხება ყველას, ვინც უკანასკნელ წლებში, თუნდაც ერთხელ, იყო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. სოჭის ნებისმიერი დამსვენებელი, რომელიც რამდენიმე საათს უთმობს აფხაზეთის რიწის ტბის ექსკურსიას, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს ყბადაღებული კანონის თანახმად, ითვლება დამნაშავედ და მას ემუქრება თავისუფლების ჩამორთმევა ორიდან ოთხ წლამდე, ანდა ჯარიმა. ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე უკვე დასაჯეს ამ მხრივ. ამ თვალსაზრისით მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მიერ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გათიშვის მიზეზით ჩვენი შესაძლებლობები ჩვენი მოქალაქეების საკონსულო და სამართლებრივი დაცვასთან დაკავშირებით, უკიდურესად შეზღუდულია“, — აღნიშნავდა ლუკაშევიჩი.

საპასუხოდ თბილისში განაცხადეს, რომ კანონი ძალაში დარჩება. მოთხოვნა მისი გაუქმების შესახებ არ შედის რუსეთის კომპეტენციის ფარგლებში, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# დედამიწის ზურგზე

### მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: გრანდიოზული სკანდალი ინდოეთში დაეხმარება რუსეთის იარაღს - შეაღწიოს მსოფლიოში ყველაზე პერსპექტიულ ბაზარში



კორუფციული და პოლიტიკური სკანდალი, რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ ინდოეთის თავდაცვის მინისტრი და მთავარსარდალი, დაემთხვა დელიში შეიარაღების საერთაშორისო გამოფენას. რუსეთი, როგორც ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, უკვე მზად იყო დიდი კონტრაქტებისთვის. ამ დროს სკანდალი მას ამაში მხოლოდ დაეხმარება, მიაჩნიათ ექსპერტებს, თუმცა მასში ირიბულად ჩართულია რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოც.

### აშშ უარყოფს, რომ აზერბაიჯანმა ისრაელს მისცა აეროდრომი ირანზე შეტევისთვის




სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ არ გააჩნია ინფორმაცია, რომ „ცნობას ამ თემაზე აქვს რაიმე ფაქტობრივი საფუძველი“. ადრე ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ ისრაელმა მიიღო ხელმისაწვდომობა საჰაერო ბაზებამდე ირანის ჩრდილოეთი საზღვრის მახლობლად. ექსპერტებმა ეს ინფორმაცია შეგნებულ გადინებად მიიჩნიეს, რომელიც თეთრმა სახლმა მოაწყო.

### სახელმწიფო მდივანი კლინტონი მონაწილეობას არ მიიღებს ობამას წინასაარჩევნო კამპანიაში



„სახელმწიფო მდივნები ჩვეულებრივად არ ეწევიან აგიტაციას პრეზიდენტისთვის, რათა თავიდან აიცილონ ეჭვი პარტიული ინტერესების ლობირებაში დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით“, — წერენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამ დროს აღინიშნება, რომ კლინტონი — ყველაზე პოპულარული ჩინოვნიკია ობამას ადმინისტრაციაში და მისი მონაწილეობა კამპანიაში გაზრდიდა ხმების ოდენობას პრეზიდენტის სასარგებლოდ.

### ფლორიდაში თვითმფრინავი სავაჭრო ცენტრში შეიჭრა: დაშავდა სულ ცოტა ხუთი კაცი



თვითმხილველთა სიტყვებით, თვითმფრინავი შეიჭრა შენობის სახურავზე, გაანგრია იგი და ცეცხლი გაუჩნდა. ორმა კაცმა მიიღო მესამე ხარისხის დამწვრობა, მათ ადგილზე უწევენ დახმარებას. მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავის მფრინავი და მგზავრი უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

### ბუენოს-აირესში დიდი ბრიტანეთის საელჩოს დაუშინეს ქვები და „მოლოტოვის კოქტეილები“



სამართალდამცველები იძულებული იყვნენ, გამოეყენებინათ ცრემლსადენი გაზი, წყალმფრქვევები და რეზინის ტყვიები აგრესიულად განწყობილი მანიფესტანტების დასარბევად „კებრაჩოს“ მემარცხენე რადიკალური დაჯგუფებიდან. ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა, თუმცა ოფიციალური ხელისუფლება ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

### კოლუმბიელმა პარტიზანებმა ნებაყოფლობით გაათავისუფლეს უკანასკნელი ათი მძევალი პოლიციელი



მიუხედავად ამისა, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემებით, ექსტრემისტების ხელთ დღემდე 100-დან 400-მდე მძევალია სამოქალაქო პირებიდან, რომლებსაც იყენებენ გამოსყიდვის მისაღებად და ამ გზით თავიანთი საქმიანობის დაფინანსებისთვის.

კონკურსი

# ტვინსაც „ილესავენ“ და ერთმანეთსაც უმეგობრდებიან

## ნორჩ გამომგონებელთა შეხვედრა

**31 მარტს ქალაქ რუსთავის თეატრს უჩვეულო სტუმართმრავლობა ჰქონდა — აქ შეიკრიბნენ ქვეყნის სხვადასხვა რაიონის გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები. კონკურსი, რომელსაც ფირმა „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანადგომით ატარებდნენ, ამჯერადაც მრავალ საინტერესო შემოქმედს მასპინძლობდა. კონკურსი პირველად 2005 წელს ჩატარდა და მასზე მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ინფორმატიკისა და საინჟინრო სფეროში მომზადებულმა VII-XII კლასების ათობით მოსწავლემ წარმოაჩინა თავისი ნიჭი.**

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადამ საზოგადოების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ამ კონკურსმა კიდეც შეიძინა საერთაშორისო მასშტაბი — 2007 წელს მასში მონაწილეობდა 10 ქვეყნის წარმომადგენელი, მას შემდეგ მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. პროექტი, როგორც აქ აღინიშნა, ტარდება საქართველოს პრეზიდენტის პატრონატით. მის ორგანიზებაში ფირმა „ჩაღლარს“ მხარს უჭერენ საქრთველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში და „საქპატენტი“. მათი ძალისხმევითა და ფირმა „ჯეოსელის“ ფინანსური დახმარებით ყოველწლიურად იმართება ეს მეტად საინტერესო და საჭირო ღონისძიება.



ამის შესახებ ისაუბრა „ჩაღლარის“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა ადენ ონანიმ. იქ დამსწრე საზოგადოებას, კონკურსის მონაწილეებს მიესალმნენ პროფესორი გიული ალასანია, რუსთავის მერი ზაზა დარჩიაშვილი, პარლამენტარები და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები (სხვათა შორის, ერთ პარლამენტარს ისიც წამოცდა, რუსთავი მეტალურგთა ქალაქიაო. ალბათ სადღაც ყური მოჰკრა, ან ვიღაცამ უთხრა. არადა, ის კი არ უთქვამს, რომ ნაცარ-ტუტად იქცა ეს მეტალურგიული გიგანტიძ. შემდეგ გაიმართა მოსწავლეთა თავისი შემოქმედების კონცერტი. მერე სტუმარ-მასპინძლებმა გადაინაცვლეს ფოიეში, სადაც 30-ზე მეტი გამომგონებლის ნამუშევარი იყო გამოფენილი, გამოფენის გრძელი წითელი ლენტი ერთდროულად ხუთმა საპატიო სტუმარმა გაჭრა.

მოსწავლე გამომგონებელთა სიახლეები მართლაც შთამბეჭდავი იყო. ერთდროულად 15-მა გაიმარჯვა. აქედან 13 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. ფასიანი საჩუქრები, რომელიც განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა გადასცა, თითქმის ყველას ერგო. ის 15 გამარჯვებული კი საერთაშორისო შემეცნებით მსოფლიო ტურნირზე წარსდგება. გამარჯვებულთა შორის იყვნენ თბილისის, გარდაბნის, მარნეულის, დმანისის და სენაკის წარმომადგენლები.

კონკურსი ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდება. ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VI საერთაშორისო ოლიმპიადა ქალაქ თბილისში 27-29 აპრილს ჩატარდება, რომელშიც მსოფლიოს 40-მდე ქვეყნის მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. როგორც აღინიშნა, ოლიმპიადის ჩარჩოები სცდება მეცნიერებისა და განათლების სფეროს საზღვრებს. იგი ხელს უწყობს ახალგაზრდების დაახლოებას, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა უფრო მჭიდრო კავშირს, ხოლო უცხოელები უფრო ახლოს გაეცნობიან ჩვენს ქვეყანას.

**გივი ჯახუა,**
„სრ“ საკ. კორ.

**სურათზე: გამარჯვებულის დაჯილდოება.**

**ფათიხ დემირის ფოტო**

ინფორმაცია

### „უმუშევართა კავშირი“ უფასო სასადილოების მენიუს აპროტესტებს

**„უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის განკუთვნილი უფასო სასადილოების მენიუს აპროტესტებს. ამის შესახებ გუშინ კავშირის ხელმძღვანელებმა პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.**

**კავშირის თავმჯდომარის თამარ იოვაშვილის თქმით, სასადილოებში საკვების განსაზღვრული კალორაჟიც კი ირღვევა, რომელიც 900 კალორიას უნდა შეადგენდეს, კალორიულობა კი 720-დან იწყება.**

**„900 კალორია მკაცრ დიეტას წარმოადგენს და 3 თვეზე მეტ ხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. ჩვენი ხელისუფლება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, მათ შორის ბავშვებსაც, შიმშილისათვის იმეტებს. აი, როგორია ის სასადილოები, რომლითაც ჩვენი ხელისუფლება და მიხეილ სააკაშვილი ტრაბახობს“, — აცხადებს იოვაშვილი.**

**როგორც იოვაშვილი განმარტავს, უფასო სასადილოები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის საკვების მისაღებ ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც ხარისხით არ გამოირჩევა. მისი ცნობით, პურის ყოველდღიური რაციონი ერთ ადამიანზე მხოლოდ 215 გრამს შეადგენს, „რაც ბევრად არ ჩამოუვარდება მეორე მსოფლიო ომის ბლოკადის დროინდელ ლენინგრადის ნორმებს“, — ამბობს იოვაშვილი.**

ინტერპრესი

ინფორმაცია

### კავკასიის ბუნების ფონდმა თუშეთისა და ვაშლოვანის ეროვნული პარკებისთვის 604 000 ევრო გამოყო

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროდან აცნობეს, შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებას ხელი გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი შონვაძემ და საერთაშორისო ორგანიზაცია, კავკასიის ბუნების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ მორისონმა მოაწერეს.**

**„ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგად დიდი თანხები მოვიძიეთ, რომელიც დაცული ტერიტორიების განვითარების მიზნით იხარჯება. მსგავსი გრანტები ხელს უწყობს კონკრეტულად იმ ხარჯების დაფარვას, რა საჭიროებებიც ეროვნულ პარკებში არსებობს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ყოველწლიურად ძალიან დიდი ტემპით იზრდება დაცულ ტერიტორიებში ტურისტების რაოდენობა და ეს დინამიკა სწორედ ასეთი პარტნიორების თანადგომით შენარჩუნდება“, — განაცხადა გოგა ხაჩიძემ.**

**მსგავსი პროექტები ბორჯომხარაგაულის ეროვნულ პარკსა და ლაგოდეხის ნაკრძალში 2008 წლიდან ხორციელდება.**

**კავკასიის ბუნების ფონდის მიზანია, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის დაცული ტერიტორიების კონსერვაციისა და განვითარებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. ფონდი საქართველოში 2008 წლიდან მუშაობს.**

ინტერპრესი

ტკივილიან-ღიმილიანი ეტიუდები

### რა ახარებთ და რა სწყინთ ბებრებს...

ხალხის ტალღას შეჰყვა და წამით შეასწრო, თორემ მეტროს ვაგონის კარებში ნაღდად გაეკვეხებოდა სქელ-სქელი, ხანმოთეული მამაკაცი. ამოისუნთქა შვებით, მიემატა ხალხის ჯგროს და, რომ მიიხედ-მოიხედა, ბიჭოს, აგერ, ძველი ნაცნობია, იმის გვერდით კი ცარიელი ადგილი!...

— ვალიკოს გაუმარჯოს! — გასძახა ნაცნობს.

გამოიხედა ვალიკომ, სახე გაეხსნა და, მოდი, მოჩოჩდი აქეთ, სანამ არავის დაუსწრიაო, — ანიშნა ერთიანად ოფლში გახვითქულ მამაკაცს.

— რას შობი, ოთარ, რავა ხარ! — უკვე ადგილზე გვარიანად მოკალათებულ ნაცნობს ეკითხება ვალიკო.

— ორმოცი წელიწადია მეტროს დავყვები და ჯერ ასე არ გამხარებია დასაჯდომი ადგილის პოვნა, ძმაო!.. აგაშენა ღმერთმა! იმ ასაკში ვარ, ტრანსპორტში თავისუფალი ადგილის პოვნა რომ გაგიხარდება... წლები, გენაცვალე, წლები!..

— რას იზამ, ეგრე ვარ მეც, ჩემო ოთარ... ამ რამდენიმე წლის წინათ, იცი, როგორ მომხვდა გულზე მეტროს ვაგონში შესულს, „მობრძადი, დაბრძანდი, ბიძაო!“ ერთმა ახალგაზრდამ ადგილი რომ დამითმო?!. ვიგრძენი, რომ უკვე მორჩა ახალგაზრდობა!..

— მაშ!.. ისე, კარგად გამოიყურები, თითქოს, არც შეცვლილხარ!..

— მეტი შენ რა გითხრა!.. თუმცა, ჩვენს ასაკში ესეც გიხარია კაცს, კარგად გამოიყურებიო, რომ გეტყვიან... შენც არა გიშავს რა... ასე რომ უნდა გავუძლოთ!.. „ვაგზლის მოედანია“, მგონი, ხომ?.. აბა, ჩავედი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს... იცოცხლე ვალიკო!..

### შაშვი შუა ქალაქში

მეღვიძება. რიბორაბოა. შაშვის გალობა შემოდის ოთახში. როგორც იქნა, ჩამოთბა და ჩიტებიც მომრავლდნენ ჯერ კიდევ შეუფოთლავი ხეების ტოტებზე. კი, მაგრამ, აქ რუსთაველის გამზირის სიახლოვეს, საიდან უნდა მოფრენილიყო შაშვი?.. ალბათ, ალექსანდრეს ბაღიდან შემოაღწია შუა ქალაქში. გალობს, ათასნაირად ახვევს ხმას... „ბულბულს მირჩევნია შაშვი“, მაგონდება მურმან ლებანიძის ლექსიდან, თუმცა, იქვე ასკვნის პოეტი — „კაცია და გუნება“. მართლაც, ვის როგორ... ბულბული საფერებელია, მინორულია, უფრო ნაზი და სუსტია... შაშვი, ძარღვებს რომ აგიტოკებს, ისეთია... ეს ამ თხუთმეტი წლის წინათ ერთხელაც ვიგრძენი ჩემს სოფელში. სწორედ აპრილის პირველი რიცხვები იდგა, მამაჩემს ვუთვლიდი ღამეებს. ცუდად იყო ჩემი მშობელი, წუხდა, ტკივილები არ აძინებდა. შეუკეთებდი ბუხარს ხმელი დაფნის ტოტებს, ტკაცუნობდა, ბრიალებდა დაფნა, სურნელებას აფრქვევდა ირგვლივ... ალიონზე დაიწყებოდა ხოლმე შაშვების გალობა ეზოში გაშენებულ დაფნარში... საოცარი ხმები გამოდიოდა... მამა მიკვდებოდა, ხმატკბილი „ორკესტრი“ მიაცილებდა იმ ქვეყნად.

### იეზიდი

დაატარებს ჩვენს ქუჩაზე ერთი შავტუხა, ხშირთმიანი ბიჭი ურიკით ჟურნალ-გაზეთებს, ხანდახან ძელსკამზეც ჩამოისვენებს და თუ იცით, რას აკეთებს? ლექსებს წერს, სქელ, საერთო რვეულში, თან ნელ-ნელა ასაღებს იმდღევანდელ პრესას. აბა, უბნელებს რა გამოგვეპარებოდა? თვითონაც გულგახსნილი და ღიმილიანია, მე, მაგალითად, გამიმხილა, რომ ოცდაორი წლისაა, ცოლ-შვილიანია, იეზიდია...

— რა გვარი ხარ, კაცო!

— ხატაიანი... მერაბ ხატაიანი...

— მერე, იეზიდი და სომხური გვარი?..

— არის ჩვენთან ასეთი შემთხვევები...

— ამ ადგილზე, როგორ დაიწყე მუშაობა, მერაბ?..

— მივედი კასტინგზე „თავისუფალი პრესის“ ოფისში, გამესაუბრნენ და მიმიღეს...

— რამდენს გიხდიან?..

— 300 ლარს... ბიძინა ივანიშვილი გვიხდის...

— კარგია, შვილო, კარგია... ქართული ასე ვინ გასწავლა?..

— თვითონ, ბიძაჩემო, თვითონ... ჩემი ოჯახი, შეიძლება ითქვას, რომ ქართულია...ქართველი მყავს ნათლია... საერთოდ, ქართველად ვთვლი თავს...

— აბა, ერთი ის რვეული მაჩვენე... მგონი, ლექსები გაქვს შიგ...

— კი, ბატონო... ვწერ ლექსებს საქართველოზე, სიყვარულზე, სიცოცხლეზე...

ვფურცლავ საერთო რვეულს. ბევრი კარგი ლექსი აქვს მერაბ ხატაიანს — კასკასა, სულიდან წამოსული, ახალგაზრდული გრძნობით სავსე, აი, ნახეთ:

**საქართველო, ლამაზო და მშვენიერო,**
**ათასფერო, მზიანო და საყვარელო,**
**ფრთაგაშლილო, მეოცნებევ ჩემო ერო,**
**იუმორით და სიკეთით აღსავსეო,**
**ცა გვიმღერის მგალობელი ჩიტებითა,**
**აქ ხომ სტუმრობს საოცარი გაზაფხული,**
**რადა არის მაშინ მთელი დედამიწა?..**
**იამაყეთ, ყველამ, ვინც ხართ აქაური!**

— გულიანია არა, მკითხველო?.. მე მგონი, დამეთანხმებით. პოდა, ერთი თბილისელი ჭაბუკი იეზიდის სიქართულით სავსე ყოველდღიურობას ვლოცავ. სიხარული არ მოჰკლებოდეს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ფეხბურთი



# იჩქარეთ ნელა!

**ან მოსვლა რა იყო, ან წასვლაო, იტყვით, ალბათ.**

**თბილისის „დინამოს“ თავკაც გიორგი დევდარიანზე მოგახსენებთ, რომელსაც, მართალია, სულ რამდენიმე თვის წინათ გამოუცხადეს ნდობა ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბის მესვეურებმა, მაგრამ ფრეთა ეპიდემიის შემდეგ უკვე აქტიურად ჟღერს გუნდში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.**

XXIII ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპის პლეი-ოფის V ტურში საკუთარ მინდორზე ფოთის „კოლხეთთან“ განიავებული მორიგი ძვირფასი ქულების — 1:1 (ჯიღაური; გოგონაიძ შემდეგ „ცქიფომ“ მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა — თუ პრობლემა ჩემშია, დღესვე დავტოვებ „თეთრ-ლურჯთა“ მთავარი მწვრთნელის პოსტსო.

მოგეხსენებათ, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია. ვიმედოვნებთ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას არც დილმელთა შეფები შეცდებიან.

**დანარჩენი შედეგები:** „დილა“ — „მერანი“ 4:2, „მეტალურგი“ — „ტორპედო“ 2:1, „ბაია“ — „ზესტაფონი“ 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“ — 39, „მეტალურგი“ — 35, „დინამო“ — 28, „ტორპედო“ — 26, „დილა“ — 21, „კოლხეთი“ — 20, „ბაია“ — 18, „მერანი“ — 17 ქულა.

**6 აპრილს ითამაშებენ:** „დინამო“ — „მეტალურგი“, „ზესტაფონი “ — „დილა“, „ტორპედო“ — „ბაია“, „კოლხეთი“ — „მერანი“.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# შემოდგომამდე — საგაზაფხულო ტურნირი

**წლეულს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი სექტემბერში დაიწყება და შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით გაიმართება. შეჯიბრებამდე დარჩენილი დროის ნაყოფიერად გამოყენების მიზნით რაგბის კავშირმა საგაზაფხულო გარდამავალი ტურნირის გათამაშება გადაწყვიტა.** პირველ ეტაპზე, რომელიც თებერვალში ჩატარდა, პირველი ლიგის 16-მა გუნდმა იასპარეზა. ორმა საუკეთესომ — თბილისის „თი ბი სიმ“ და ქუთაისის „ბაგრატმა“ მომდევნო რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა და უმაღლესი ლიგის 10 გუნდს შეუერთდა. მესამე ეტაპზე გადამწყვეტი ორთაბრძოლებია დაგეგმილი. 12-13 მაისს ნახევარფინალურ, ხოლო 26-27 მაისს ფინალურ პაექრობებს ვიხილავთ.



მე-2 ეტაპზე თორმეტი გუნდი 2 ქვეჯგუფში გადანაწილდა. გაუწყებთ პირველი ტურის შედეგებს:

**„ა“ ჯგუფი.** „არმია“ — „ბაგრატი“ 82:13, „არმაზი“ — „ბათუმი“ 20:18, „ლელო“ — „აკადემია“ გადაიდო (12 აპრილის გაიმართება).

**„ბ“ ჯგუფი.** „ლოკომოტივი“ — „ყოჩები“ 48:22, „რუსთავი“ — „ჯიქები“ 13:11, „აია“ — „თი ბი სი“ 71:0.

**მე-2 ტურში ითამაშებენ: 7 აპრილი.** „არმაზი“ — „არმია“, „აკადემია“ — „ბათუმი“, „თი ბი სი“ — „ლოკომოტივი“. **8 აპრილი.** „ლელო“ — „ბაგრატი“, „რუსთავი“ — „აია“, „ყოჩები“ — „ჯიქები“.

**ლაშა დიდია**

სამთო თხილამურები

# ტრიოს ბრიტანული მონაგარი

**ახალგაზრდა სამთო მოთხილამურეთა დიდი ბრიტანეთის ღია პირველობას ფრანგულმა მარიბელმა უმასპინძლა. ამ მაღალმთიან ზამთრის კურორტს ხუთი ქართველი სპორტსმენი ეწვია. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობაში მათ ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.** გუდაურელმა ალექსი ბენიაიძემ გიგანტურ სლალომში თითო ოქრო და ბრინჯაო მოიპოვა, ხოლო სლალომში ერთი მესამე ადგილი დაიკავა. გასულ უქმეებზე თბილისელმა ჯაბა გელაშვილმა სლალომში დაიმსახურა ახალგაზრდებს შორის დიდი ბრიტანეთის ჩემპიონობა, გიგანტურ სლალომში კი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ასევე, მეორე იყო ამავე ტრასაზე გოგონათა შორის გუდაურელი ნინო წიკლაური. რაც შეეხებათ გუდაურელ სანდრო ოგბაიძესა და ბაკურიანელ ნოდარ ჩუბკოს, ისინი კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.



ჭიდაობა

# „მართვეში“ ჩემპიონები დაფრთიანდნენ

**სპორტკომპლექს „მართვეს“ დარბაზში ოთხ დღეს გრძელდებოდა თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს პირველობა კადეტებში. განსაკუთრებით ბათუმელმა რამაზ ზოიძემ იყოჩაღა, რომელმაც 46 კილოში ორივე ტურნირი მოიგო.** შარშან რამაზმა თანატოლებს მსოფლიოს პირველობაზეც აჯობა, ევროპაზე კი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. წლეულს იგი საერთაშორისო სარბიელზე „კლასიკურსა“ და „თავისუფალშიც“ აპირებს ძალების მოსინჯვას. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მრავალი სახელოვანი სპორტსმენის აღმზრდელის დათო დავითაიას შვილიშვილი ნიკა კახელაშვილი გამოირჩა. 85 კილოში მან სამ მეტოქეს სუფთად სძლია, ფინალში კი ქუთაისელი სულხან ბუაძე ქულებით დაამარცხა, თან ისე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, რომ მეტოქეებისთვის ქულაც არ დაუთმია. გულშემატკივრებსა და სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ასევე, სენაკელებმა — ბაკურ გოგოლმა და მურთაზ ჩაბრავამ, თბილისელმა ნიკა გავაშელმა, „თავისუფლებში“ შმაგი თოდუამ (სამტრედიაძ, და ბექა კახეთელიძემ (ონიძ. ორ წონით კატეგორიაში იჭიდავეს გოგონებმაც. ჩემპიონები გახდნენ ანი ნაზარაშვილი (გორი, 46ძ და მაქსი გიგუაშვილი (თბილისი, 65ძ. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ დათო დავითაიამ გვითხრა, რომ ნიჭიერი, პერსპექტიული თაობა მოდის და მათ სათანადო ხელშეწყობა თუ ექნებათ, საერთაშორისო სარბიელზეც მალე გვასახელებენ.



ახლა კი ორივე სახეობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულთა ვინაობას გაუწყებთ: **თავისუფალი ჭიდაობა.** შმაგი თოდუა (სამტრედიაძ, რამაზ ზოიძე (აჭარაძ, გიორგი ლეჟავა (სამტრედიაძ, ლევან მურცხვალაძე (რუსთავიძ, ედუარდ ნიკოლიშვილი, ტარზან მაისურაძე (ორივე — თბილისიძ, ომარ გურჯიძე (ქუთაისიძ, გიორგი ჩხარტიშვილი (თბილისიძ, თორნიკე ბასილაშვილი (გორიძ, ბექა კახეთელიძე (ონიძ. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** გენადი ჩიტაძე, რამაზ ზოიძე, ირაკლი შავაძე (სამივე — აჭარაძ, ბაკურ გოგოლი (სენაკიძ, თეიმურაზ კვაჭაძე (ოზურგეთიძ, მურთაზ ჩაბრავა (სენაკიძ, გიორგი ჩხარტიშვილი (აჭარაძ, ნიკა გავაშელი, ნიკა კახელაშვილი, ბექა კანდელაკი (სამივე — თბილისიძ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ბაბუა და შვილიშვილი.**

ძიუდო

# ჯვაროსანთა ლაშქრობა კიევში



**უკრაინის დედაქალაქში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასზე საქართველოს 20 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათგან ორმა ოქროს, სამმა ვერცხლის და ცხრამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მაია ჯანაშვილი (57 კგძ და ვანო ჩურჩხელაშვილი (73ძ, თითო ორთაბრძოლა დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ კობა მჭედლიშვილი (60ძ, გიორგი გველესიანი (90ძ და ზაზა გოჯიაშვილი (+90ძ, ხოლო ირაკლი კუპატაძეს (50ძ, ბექა ნათთარალიშვილს, გიორგი კაციაშვილს (ორივე — 55ძ, ბექა უდესიანს 60ძ, თამაზ კირაკოზაშვილს (73ძ, გიორგი ქურდიანს, ნიკა მოველიძეს (ორივე — 81ძ, დავით რამაზაშვილსა (90ძ და გიორგი ძებისაშვილს (+90ძ ბრინჯაო ერგოთ.

ინტერნეტიდან

## „ზენიტის“ სიმბოლო შეურაცხყვეს

**„ლუჟნიკებში“ რუსეთის ფეხბურთის ჩემპიონატის მატჩზე „სპარტაკი“ — „ზენიტი“, სტუმრების გამარჯვებით რომ დამთავრდა — 2:1, მოსკოველმა გულშემატკივრებმა 2-მეტრიანი ფალოსით შეურაცხყვეს სანქტპეტერბურგელთა სიმბოლო.**

ეს იყო ცეცხლზე ნავთის დასხმა, რომელიც აენთო მას შემდეგ, რაც კერჟაკოვმა სერიოზული ტრავმა მიაყენა „სპარტაკის“ მეკარე დიკანს, მაგრამ ამისთვის არ დაუსჯიათ.

პოლიციის მუშაკებმა თამაშის შემდეგ ორივე მხარის 150-ზე მეტი ქომაგი დააპატიმრეს. დაკავებულთა უმრავლესობას მიესადაგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. როგორც იტყობინებიან, დაკავებულთა შორის ბევრი მთვრალი იყო და ხულიგნობდა.

როგორც ინტერნეტით იტყობინებიან, თუმცა „სპარტაკის“ გულშემატკივართა გამოხდომა ამორალურია, მაგრამ რუსული ფეხბურთის ამჟამინდელი ლიდერისადმი, რომელსაც გულშემატკივრობენ ქვეყნის პირველი პირები, საზოგადოებრივი დამოკიდებულება თანდათან უარესდება. პიტერელებს ასტრონომიული ბიუჯეტი აქვთ და ავტორიტეტული ქომაგებიც ჰყავთ, შეუძლიათ ნებისმიერი ფეხბურთელის ყიდვაც, მათ ლიბერალურად ექცევიან მსაჯებიც და ცენტრალური პრესაც, მისი გულშემატკივრები კი ახერხებენ შეუმოწმებლად უკანალში გარჭობილი მაშხალების შეტანას სტადიონზე, არც იმას მალავენ, რომ ლონდონიდან დაბრუნებული ანდრეი არშავინი, სიამოვნებით ისმენს სიმონ სლეპაკოვის სიმღერას, რომელშიც მას „პატარა ასოს“ უწოდებენ. თუმცა, „ზენიტისადმი“ ფეხბურთის მცოდნეების სიმპათიებს არ იწვევს.



## პრეზიდენტი გადადგა

**გუშინწინ ქვეყნის მეთაურის პოსტიდან გადადგა უნგრეთის პრეზიდენტი პალ შმიტი.** ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს (1968 და 1972 წლებიძ ბრალი დასდეს, თითქოს ოლიმპიურ მოძრაობაზე 1992 წელს დაწერილი სადოქტორო დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი პლაგიატი იყო.

## ლონდონი მეძავებს მალავს

**ბუნებრივია, რომ ლონდონი მოახლოებული ოლიმპიადისთვის ემზადება. ამას წინათ ცნობილი გახდა, რომ აიკრძალა ქორწილები ოლიმპიადის დღეებში. ახლა კი გამოჩნდა კიდევ ერთი ინიციატივა. ინგლისელები იბრძვიან არა მხოლოდ მოქალაქეობის იოლად მიღების წინააღმდეგ, არამედ პროსტიტუციის წინააღმდეგაც.**

ოლიმპიადის დროს ინგლისის დედაქალაქში აიკრძალება მეძავეობა, როგორც ქალაქის მერიაში განაცხადეს, მეძავებს გარეკავენ ლონდონის ყველა ცენტრალური და დიდი ქუჩიდან და მათ მახლობელ რაიონებში გადამალავენ — იქ, სადაც ოლიმპიური ჩირაღდნის შუქი ვერ აღწევს.

„ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით გაიზარდა მეძავთა აქტიურობაც“, — აღიარა ლონდონის ასამბლეის წევრმა ენდრიუ ბოფმა.

## გენეტიკური შედევრი

**ასე უწოდეს რუსი სუპერმოდელის ირინა შეიკის მორიგ ფოტოსესიას, რომლის გმირი ეს გრძელფეხება ლამაზმანი გახდა. თუმცა ახალი ფოტოსესია არ გამოირჩეოდა ორიგინალობით. შეიკს, რეკლამას რომ უწევდა ფეხსაცმლის ერთ-ერთ ესპანურ მარკას, ისევ მოუხდა გაშიშვლება. ამბობენ, რომ დიდებული სურათები გამოვიდა (აი, ერთი მათგანიც).**



როგორც კი ფოტოსურათები ინტერნეტში აღმოჩნდა, გაჩაღდა დიდი დისკუსია, რომელიც ვიქტორია ბექჰემსაც შეშურდებოდა. მსოფლიო ქსელის ბრიტანელმა მომხმარებლებმა, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ დაასკვნეს, რომ ირინა უნიკალური ქალიშვილია და მას „გენეტიკური შედევრი“ უწოდეს.

ამბობენ, რომ ფეხბურთში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ირინა ცოლად მიჰყვება კრიშტიანუ რონალდუს.

## ◎ თქვენთვის, ცნობისმოყვარენო!

# ყველაზე ძვირი სამეცნიერო პროექტები

**ექსპერტების საერთაშორისო ჯგუფმა დაიანგარიშა, თუ რა ღირდა მეცნიერთა ყველაზე ამბიციური ჩანაფიქრი. აღმოჩნდა, რომ ყველაზე „იაფი“ უტოლდებოდა მილიარდ დოლარს. და რომ ეს პროექტები დაგვეხმარა გაგვეგო ბევრი ახალი რამ სამყაროს შესახებ. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ „კომსომოლსკაია პრავდა ვგრუზიი“ — ავტორი სვეტლანა კუზინა.**

### 1. საერთაშორისო კოსმოსური სადგური 157 მილიარდი დოლარი

**სადგური დღეს წარმოადგენს ყველაზე მასიურ ხელოვნურ თანამგზავრს, ოდესმე რომ „ცხოვრობდა“ დედამიწის ორბიტაზე. თანაც ყველაზე უნივერსალურ „ტრენაჟერს“ მომავალი ვარსკვლავთშორისი ფრენებისთვის.**

მაგალითად, პირველი პილოტირებული გაფრენა მარსისკენ დაგეგმილია 2030 წლისთვის. იქით და უკან ფრენას თითქმის 500 დღე-ღამე დასჭირდება. ამიტომაც ხომალდზე აუცილებლად უნდა იყოს საკუთარი ორანჟერეა, რათა ეკიპაჟი უზრუნველყოს აუცილებელი ვიტამინებით, მიკროელემენტებით და უჯრედოვნებით. სადღეისოდ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში არის ორანჟერეა „ლადა“, რომელიც უწონადობაში უზრუნველყოფს მცენარეებისთვის თითქმის მიწიერ პირობებს. მეცნიერები სწავლობდნენ ცოცხალ ორგანიზმზე რადიაციული გამოსხივების გავლენას. გამოირკვა, რომ, მაგალითად, არც მცენარეები და არც ცხოველები არ შფოთავენ. ხოლო გრავიტაციის გარეშე ცხოვრება მხოლოდ ჩვენს „მწვანე ძმობილებს“ შეუძლიათ.

### 2. დიდი ადრონული კოლაიდერი 10 მილიარდი დოლარი

**არსებითად დიდი ადრონული კოლაიდერი უზარმაზარი მიკროსკოპია. ის დაფრინავს საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვარზე 27-კილომეტრიანი გარემოცვის ბლითის („ბუბლიკის“) სახით. 50-დან 175 მეტრის სიღრმეზე ნაწილაკების 2 კონა მოძრაობს წრეზე ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით და ერთმანეთს ეჯახებიან თითქმის სინათლის სიჩქარით (0,9999 მისგან) და წვრილად იმსხვრევიან, წარმოქმნიან რა თავისებურ დიდ აფეთქებას.** თითქმის ისეთსავეს, როგორიც იყო 15 მილიარდი წლის წინათ და ჩვენი სამყარო რომ წარმოქმნა. თუმცა სხვა მასშტაბში. ამ ექსპერიმენტის წყალობით მეცნიერები შეისწავლიან მატერიის თვისებებს, რასაც ის ფლობდა სამყაროს წარმოქმნის ყველაზე პირველი გაელვებისას. თან ცდილობენ მის გამოჭერას ბოზონ ჰიგსის დამაჩქარებლის დახმარებით, რომელიც, თეორიის თანახმად, სამყაროდან გამოჰყოფს ნივთიერებათა მასას. სწორედ ის აკლიათ სტანდარტული მოდელის საბოლოო გამარჯვებისთვის, რაც სადღეისოდ სამყარო ყველაზე პოპულარული თეორიაა.



საერთაშორისო კოსმოსური სადგურში ცდებს ატარებენ ადამიანებზე, ცხოველებზეც და მცენარეებზეც.

### 3. კოსმოსური ტელესკოპი „ჯეიმს უებე“ 6,8 მილიარდი

**ორბიტალური ინფრაწითელი ობსერვატორია „ჯეიმს უებე“ (JWST) შეცვლის ძველ ოპტიკურ „ხიბლის“, სწორედ მაშინ ასტრონომები სამყაროს დაინახავენ გაცილებით წვრილი თავისებურებებით.**

რაც უფრო შორსაა ობიექტი დედამიწიდან, მით უფრო მძლავრად შესწევენ მის სპექტრს წითელ გარემოში, — გვიხსნის ასტრონომი ტაილერ რობინსონი ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლის უნივერსიტეტიდან, — რამდენიმე მილიარდი სინათლის წელიწადით ჩვენგან დაშორებული ვარსკვლავი თვალისთვის უკვე უხილავია, სამაგიეროდ ხილულია ასეთი „ღამის ხედვის ხელსაწყოსთვის“.

„ჯეიმს უები“ აჯობებს „ხიბლის“ ზომებითაც. „ბებერი“ სარკის დიამეტრი 2,4 მეტრია, ხოლო JWST-ისა 6,6 მეტრი. ახლა „თვალი“ მისწვდება დედამიწიდან მილიონ ნახევარ კილომეტრზე. მოთავსდება რა ეგრეთ წოდებულ ლაგრანჟის წერტილზე, ის არ მიიზიდება არც ვარსკვლავებისკენ და არც პლანეტისკენ.

JWST-ის დახმარებით ჩვენ შევძლებთ 20-30 სინათლის წლის იქით „შეხედვას“, გვიამბობს ასტრონომი რობინსონი, — ამ სიშორეზე აღმოვაჩენთ არა მხოლოდ ჩვენი დედამიწის ზომების პლანეტებს, არამედ გავიგებთ, არის თუ არა იქ სიცოცხლე.

გაშვება შედგება 2018 წელს.

### 4. ეროვნული სანთებელა დანადგარი 4,2 მილიარდი დოლარი

**12 წელი დახარჯეს ამერიკელებმა, რათა აეგოთ ექსპერიმენტული დანადგარი, რომელშიც თერმობირთვული რეაქციისთვის გამოიყენებენ ლაზერებს, კომპლექსი წამოჭიმულია კალიფორნიაში. გამოკვლევებს იქ ატარებენ ლოურენსის სახელობის ლიბერსაზღვაო ეროვნული ლაბორატორიიდან — უმსხვილესი ამერიკული ცენტრისა და სამხედრო ლაბორატორიის სპეციალისტები, „სანთებელა“, ანგარია ფეხბურთის ორ მოედანზე მეტი ფართობით.** შიგნით 10-მეტრიანი სფეროსებური კამერაა. მასში მიკროსკოპული ბურთულაა დაახლოებით ორ მილიმეტრიანი დიამეტრით. მასში კი 150 მიკროგრამი დეიტერიისა და ტრიტიის ნარევია. ეს სწორედ ის ნარევია, რასაც წყალბადის ბომბებში იყენებენ.

ამ ბურთულა სამიზნეზე მიმართულია 192 ლაზერული სხივი 500 ტრილიონი ვატის სიმძლავრით — რაც ათასჯერ მეტია იმაზე, რასაც შეერთებული შტატები მოიხმარენ მთელი წლის განმავლობაში. სხივები აცხელებენ ბურთულას. მის შიგნით სასწაულებრივი წნევა წარმოიქმნება — 100 მილიარდჯერ მეტი ატმოსფერულზე, ტემპერატურა იწევა ცელსიუსის 100 მილიონ გრადუსამდე (მზის ცენტრში ის 15 მილიონი გრადუსიაძ. ყოველივე ამის შედეგად იწყება თეორმობირთვული რეაქცია. პაწაწინა წყალბადის ბომბი ფეთქდება და თითქოს აკაშკაშებდა მინიატიურული ვარსკვლავი.

სამწუხაროდ, ხელქმნადი ვარსკვლავი ანთია მხოლოდ წამის მილიარდი წილის დროით. მეტად არ ხერხდება. თუმცა ის, რომ განუწყვეტლად ენთოს და სითბოს გვაწვდიდეს, მეცნიერების მთავარი მიზანია. ჯერჯერობით კი, როგორც ისინი ალიარებენ, ახერხებენ მხოლოდ „თერმობირთვული ასანთის გაკვრას“.

როგორც აკადემიკოსი ოლეგ კროხინი ირწმუნება, ექსპერიმენტში წარმატების მიღწევა უახლოეს ერთ-ორ წელიწადში შეიძლება. — მაგრამ ნამდვილი სამრეწველო გამოყენებისთვის საჭირო გახდება მინიმუმი 50 წელი, — ასეთია აკადემიკოსის პროგნოზი, — მაშინ კაცობრიობა მიიღებს ამოუწურავ, იაფ და უსაფრთხო ენერგიის წყაროს.

### 5. ზღვის ცხოვრების აღწერა 1 მილიარდ დოლარზე მეტი

**2000 წლიდან მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა დაითვალა მსოფლიო ოკეანის მცხოვრებნი არქტიკიდან ტროპიკებამდე. უმცირესი პლანკტონიდან გიგანტურ ვეშაპებამდე. „ზღვის ცხოველების აღწერის“ თავიანთი შედეგები მათ წარმოადგინეს 2010 წლის შემოდგომაზე. რეესტრის თანახმად, აღმოაჩინეს მეცნიერებისთვის ადრე უცნობი 6 ათასი სახეობა და გამოირკვა, რომ მიკროორგანიზმები შეადგენენ ოკეანის მთელი ბიომასის 50-დან 90 პროცენტს. ხოლო მათი მასა ეკვივალენტურია 240 მილიონი აფრიკული სპილოების მასასთან!**

სიცოცხლის ყველაზე გავრცელებულ ფორმად ოკეანეში აღმოჩნდა კიბოსნაირები (სახეობათა 19 პროცენტიძ, შემდეგ მოდიან მოლუსკები (17 პროცენტიძ, თევზების წილად მოდის (ზვიგენების ჩათვლითძ 12 პროცენტი, მხოლოდ 2 პროცენტი რჩება კატეგორიისთვის „სხვა ხერხემლიანი ცხოველები“ — აქ არიან ვეშაპები, ზღვის ლომები, სელაპები, კუები და მორჟები.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

## ◎ ამნისტია

# სააღდგომოდ პატიმრების შეწყალება იგეგმება

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განუცხადა, ელოდება პრეზიდენტის მითითებას, თუ როდის ჩაატარონ შეწყალების კომისიის სხდომა.**

„ტრადიციულად, აღდგომამდე ერთი კვირით, ან რამდენიმე დღით ადრე შეწყალების კომისიის სხდომა გაიმართება“, — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

მისივე ინფორმაციით, კომისიაში შეწყალების მსურველ მსჯავრდებულთა საკმაოდ ბევრი განაცხადია შესული, თუმცა ზუსტი რიცხვი ჯერ არ იცის.

პრეზიდენტი სააღდგომოდ პატიმრებს ტრადიციულად იწყალებს.

შეწყალებული პატიმრები სასჯელაღსრულების დაწესებულებებს 15 აპრილს დატოვებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ ვერნისაჟი

# განსხვავებული ფენომენი

**ქართული კინოს საიუბილეო 100 წლისთავს მშვენიერი საგაზაფხულო გამოფენით გამოეხმაურა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, სადაც 1 აპრილს იმ სფეროში მოღვაწე მხატვრების ნამუშევართა გამოფენა გაიხსნა და 15 რიცხვამდე გაგრძელდება.**




ვერნისაჟი, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, მუზეუმის დირექტორის **გიორგი კალანდიასა** და მხატვარ **მიშა იაშვილის** თაოსნობით მოეწყო. მასში მონაწილეობას იღებს ყველა თაობის ორმოცი მხატვარი — დიმიტრი თაყაიშვილი, დიმიტრი ერისთავი, ვახტანგ რურუა, გიორგი ტატიშვილი, ჯემალ კუხაშვილი, მიშა იაშვილი, ზაზა ჯორბენაძე, ასევე თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მაშო წულეისკირი, სალომე ჭიჭინაძე, ანა ამირანაშვილი, თორნიკე მუსერიძე, სხვები.

— მხატვარი კინოსა და თეატრში — ესაა განსხვავებული ფენომენი, ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია. მუზეუმში უამრავი, 12 ათასზე მეტი ნამუშევარია დაცული, რომელთა საზოგადოებისთვის ჩვენებას ახლო მომავალში ვაპირებთ, — თქვა გამოფენის გახსნისას ბატონმა გიორგი კალანდიამ.

იმის გამო, რომ მუზეუმის მეტად მიმზიდველ შენობაში კარგარეთელის ქუჩაზე სარესტავრაციო სამუშაოები ჯერაც არ დასრულებულა, გამოფენა შედარებით მოკრძალებულია, თუმცა შემდგომ საგამოფენო სივრცე პირველ ორ სართულზე მოეწყობა. გარდა ამისა, მუზეუმს ასევე კინოდარბაზიც აქვს, სადაც მომავალში რეტროსპექციული ჩვენებები გაიმართება.

— ქართული კინო სოლიდური ასაკისაა, ამიტომ ერთგვარად „შემოქმედებითი ჭირნახულის“ გამომზეურების ჟამიც დადგა, მაგრამ იმის გამო, რომ მუზეუმში დაცული ყველა ექსპონატის გამოფენა ელემენტარულად შეუძლებელია, გვინდა რომ გამოფენები ყოველწლიურად მოვაწყოთ, — თქვა მიშა იაშვილმა. — ამასთანავე მინდა აღვნიშნო, რომ ამ გამოფენის ძირითადი ადრესატი მაინც მხატვრული აკადემიის დაწყებითი კურსების სტუდენტები არიან. საქმე ისაა, რომ მაშინ, როცა უამრავი კულტურა ჩვენამდე თავისუფლად აღწევს, მთავარია ახალგაზრდა შემოქმედებმა მისი შინაგანად ერთგვარად სინთეზირება შეძლონ, ეროვნულად გათავისების უნარი შეიძინონ, რაც წინა თაობების შემოქმედებმა ბრწყინვალედ შეძლეს. საკმარისია გავიხსენოთ „უცხოურ ნიადაგზე“ აღმოცენებული თუნდაც ისეთი შედევრები, როგორებიცაა „არ დაიდარდო“, „რეკორდი“, „ქვევრი “, სხვები. გარდა ამისა, წლეულს ამ ტიპის კიდევ ერთი, ოღონდ გაცილებით მასშტაბური გამოფენის მოწყობას ვგეგმავთ, საამისოდ კი ძველი კინოფილმების მასალები და დოკუმენტები, კოსტიუმები დეკორაციების მაკეტები და ა. შ. უნდა მომზადდეს.

თავის მხრივ ჩვენმა სახელოვანმა კინორეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი გამოფენა ძალიან დიდი საქმეა, რომლის მსგავსი ჩვენში დიდი ხანია არ გამართულა და რომ ამ საქმეს აუცილებლად გაშლა-გაფართოება, მიყოლა უნდა.

**დალი ხუნდაძე**

## ◎ ინფორმაცია

### „ქრისტიან-დემოკრატები" საბავშვო ბაღებისთვის ვაუჩერების დარიგებას ითხოვენ

**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საკრებულოში „ქრისტიან-დემოკრატების“ დეპუტატმა ზაზა გაბუნიამ განაცხადა, ვაუჩერები აღსაზრდელების რაოდენობის მიხედვით უნდა დარიგდეს.**

**გაბუნიას თქმით, ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ მიმდინარე წლის თებერვალში ჩატარებულ კვლევაში მოსახლეობა ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხებში, ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ასახელებს საბავშვო ბაღებში არსებულ ფასებს.**

**„კვლევის მიხედვით მკაფიოდ ჩანს, რომ საბავშვო ბაღებში არსებული ტარიფი, რომელიც 30-დან 80 ლარამდე მერყეობს, საკმაოდ რთული გადასახდელია თბილისური ოჯახების დიდი ნაწილისთვის. სწორედ ამიტომ „ქრისტიან-დემოკრატებს“ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. სკოლამდელი დაწესებულებებიც, სკოლის მსგავსად, უნდა გახდეს უფასო და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღოს სახელმწიფომ“, — განაცხადა ზაზა გაბუნიამ.**

### ქართული მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების გამოფენა გაიმართა

**გამოფენას, რომელშიც 16 ქართული კომპანია მონაწილეობდა (აკვა გეო, ყაზბეგი, კასტელი, კულა, ნაბეღლავი, ბორჯომი, კამპა, საირმე, რაჭის წყაროები, ნატახტარი, ბიოპროდუქტი, შხეფი, ფლატე, წყალი გუნდაური, სუფთა წყალი ბინული, ლაღიძის წყლები) სასტუმრო „რედისონმა“ უმასპინძლა.**

**ღონისძიებას სამთავრობო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.**

**გამოფენის მონაწილე კომპანიებმა სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდეს მათი პროდუქციის, წარმოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ამასთან, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ქართული მინერალური წყლები და უალკოჰოლო სასმელები ადგილზე დაეგემოვნებინათ და თავადვე შეეფასებინათ.**

ინტერპრესნიუსი

ფრაზები

# სხვათაგან გაგონილი...

● ესეც შენი სუროგატული დედა და დედისეული კაპიტალი!

● თუ ქალს ძალიან დიდხანს ვუყურებთ, შევამჩნევთ, როგორ გადის პენსიაზე.

● ყველა ქალი ერთნაირია, მხოლოდ ქმრები ჰყავთ სხვადასხვა.

● ულამაზო ქალები არ არიან, არიან შეღებილნი და შეუღებელნი.

● ის კაცი იმ ქალის გემოვნებისა იყო, და ერთხელაც აკი შემოეჭამა კიდეც იმას ის კაცი.

● ვინც არ მუშაობს, ის უმუშევარია.

● ყოველ ლილიპუტს თავისი პატარა სუსტი მხრეები აქვს.

● სულაც არ მიზიდავს ვეფხისტყაოსანი რაინდის ტყავში ყოფნა.

● ჩვენში ყველა რომ მუშაობდეს, როგორც ჩვენი პარლამენტი, ცხოვრების დონის მიხედვით 110-ე ადგილზე კი არა, 109-ზე ვიქნებოდით.

● არითმეტიკას უამრავი მინუსი აქვს.

● რაც კი რამ სიახლე ჩნდება სკლეროზის მკურნალობის თვალსაზრისით, ყველაფერი კარგად დავიწყებული ძველია.

● რამდენიც არ უნდა იტრიალოს ფარგალმა, თავის წრეს მაინც ვერ გასცდება.

● ბევრი რამ არის კიდევ, რის ცუდად გაკეთება ვერა და ვერ ვისწავლეთ.

● ნუ დაუჭერ მშიერს ერთ ლუკმა პურს, ის მაინც მშიერი დარჩება.

● დიდად კმაყოფილს გაგხდით, თუნდ სულაც არ გესიამოვნოთ.

● უფრო უარესისკენ თუ არსაით წასასვლელი არა გაქვთ, მაშასადამე, ერთი გზა გქონიათ.

● უკეთუ ვისიმე ხუმრობამ ცხოვრება ბევრად უარესი გახადა — პოლიტიკოსს უხუმრია.

● სუყველა ხუმრობა ბრტყელდება, თუ ზემოდან იუმორი აწევს.

● ხუმრობა კი მიყვარს, მაგრამ არ მიყვარს, როცა რასმე ხუმრობაში მიტარებენ.

● წაქცეულს არ ეხუმრებიან.

● რომელი ლეღვია, რომ ზეთის ბრენდად გახდომა არ უნდოდეს?

● სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს და ახლის ჩასახვას უწყობს ხელს.

● უკეთუ ლაინერი თევზით დატვირთული ბრუნდება ნავსადგურში, ის აშკარად სეინერია.

● დიდ ქურდს მფარველიც დიდი ჰყავს, ბაცაცას ერთ ადგილას ისვამენ.

● თუ სხვისი გზიდან არ გადაუხვევ, შენს გზას ვერცროდის იპოვნი.



● რაც უფრო ბნელია ცხოვრება, მით უფრო ნათელი მირაჟების ტყვეობაში ხარ.

● მომეცით ტყვიამფრქვევი, და ყველა საგანს თავის სახელს დავარქმევ.

● იმათ, ვინც მუსიკას უკვეთავს, არც ერთს კონსერვატორია არ დაუმთავრებია.

● ჩვენში თუ რამ კეთდება, ყველაფერს რევოლუციის სუნი უდის.

● ბოროტმოქმედნი, რომელთაც ეძებს პოლიცია, ისე საშიშნი არ არიან, როგორც ისინი, რომელთაც პოლიცია სულაც არ ეძებს.

● დემოკრატია ჩვენში ხალხისგან გამოყოფილია.

● — მითხარი, ვინა ხარ, და გეტყვი, ვინ არი შენი მეგობარი.

— ვინა ვარ და, პოლიციელი ვარ.

— ჰოდა, მე ვარ შენი მეგობარი.

● ვინც იხდის, არა მარტო უკვეთავს მუსიკას, არამედ ძალით გასმენინებს კიდეც.

● არცრა მოასწავებდა ტრაგედიას: არც მოედანზე შეკრებილი ხალხი, არც ეშაფოტზე მდგარი ჯალათი და არც ნაჯახი, იმ ჯალათს ხელში რომ უელავდა.

● პოლიტიკას სუფთა ხელებით უნდა ეწეოდე. ოღონდ მერე ხელები დიდხანს უნდა იბანო.

● პირველწყაროს ერთი ნაკლი აქვს — ის ცოტა ვინმემ თუ იცის.

● ადამიანს ერთხელ უნდა დასდო პატივი, მეორედ უკვე შენს მოვალეობას აღასრულებ.

● ცხოვრებამ რამდენიც უნდა გვასწავლოს, ჩვენ მაინც სულ განათლებისკენ მივიწევთ.

● ის ამაყად თავაწეული იდგა მუხლებზე.

● მარჯვნივ თუ წახვალ — ჩიხში შეხვალ, ხოლო მარცხნივ თუ წახვალ — იქიდან ველარ გამოხვალ.

● სათქმელს წინ გავუსწრებ და გეტყვი, რომ ეს უკვე ფინიში იყო.

მოამზადა
გურამ წიკლაურმა

ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალ-გაზეთებიდან



### „ბიძინა ივანიშვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“

— სანდო წყაროზე დაყრდნობით აცხადებს საქართველოდან დევნილი ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე, — ეს არის უტყუარი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მაშინ განხორციელდეს, როდესაც ივანიშვილი რეგიონებს ესტუმრება. მე, რა თქმა უნდა, სრულიად ვაცნობიერებ იმ პასუხისმგებლობას, რასაც ასეთი განცხადება წარმოადგენს, მაგრამ ვალდებული ვარ, ყოველივე ვილაპარაკო.

„ალია“.

### „თურქი ბიზნესმენები ქართველებს ბათუმის რესტორნებში არ უშვებენ“

— აცხადებს დემოკრატიული მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის ლიდერი ბესო დანელია, — ბათუმში შუადღეზე თურქმა მამაკაცმა სცემა ქართველ ქალს და ქართველი მამაკაცები არა თუ არ გამოესარჩლნენ ამ ქალს, პოლიციის შენობაში ამ მამაკაცის წაყვანაც კი ვერ გაბედეს. ეს რომ თურქეთში ჩაედინა ქართველ მამაკაცს, წარმოიდგინეთ, ამას რა მოჰყვებოდა. 25 ათასი თურქია რეგისტრირებული ბათუმში. უამრავი უძრავი ქონებაა მათ საკუთრებაში. ბათუმელებს სერიოზულად ავიწროებენ.

„ახალი თაობა“.

### ბოლო 5 წელიწადში საგარეო ვალი 300 პროცენტით გაიზარდა

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა ისევ გაიზარდა. 2011 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საგარეო ვალის რაოდენობამ 11,2 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 2010 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 14 პროცენტით მეტია, 2006 წელთან შედარებით კი დაახლოებით 295 პროცენტით. 5 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ვალი არასამთავრობო საფინანსო ორგანიზაციებმა აიღეს.

„რეზონანსი“.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

ანეკდოტები

ერთხელ მსოფლიოში ცნობილი ოკულისტის, აკადემიკოს ფილატოვის სტუდენტებმა გადაწყვიტეს, თავიანთი პედაგოგისთვის დაბადების დღე ორიგინალურად მიელოცათ: დახატეს უზარმაზარი თვალი, იმ თვალში კი იმისი პორტრეტი ჩასვეს.
— რა ბედნიერებაა, რომ გინეკოლოგი არა ვარ! — წამოუძახია საჩუქრის დანახვაზე აკადემიკოსს.

* * *

ქუჩაში ორი ებრაელი მიდის. ერთი მათგანი ხშირად ოხრავს.



— რა იყო, რა ხდება, მოშე? — ეკითხება მეორე.
— რა და, მე ახლა სამსახურში მივდივარ, ჩემს სარასთან კი შეიძლება აბრამი მივიდეს და მასთან ღამე გაათიოს.
— რას ამბობ, მოშე, ახლა დღეა და როგორ შეიძლება დღისით ღამის გათევა?
— ოი, შენ არ იცი აბრამის ამბავი, ის ისეთი მავნეა, დღისითაც შეუძლია ღამის გათევა.

* * *

როდესაც ცოლთან ერთად ვცხოვრობდი, სულ ვფიქრობდი, სად მიაქვს ეს ფულიმეთქი.
განვქორწინდით. მთელი თვე მარტო ვცხოვრობდი. ახლა კი ვფიქრობ, საიდან მოჰქონდა მას ის ფული.

* * *

განცხადება სასაზღვრო ბოძზე: იმის გამო, რომ ტყვიები არ გვყოფნის, ჰაერში გამაფრთხილებელი სროლა არ იქნება!

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24